Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 31 (108) გამოც. მე-3 წელი ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი ბერლინი, 7 აგვისტო, 1944 წ.

იარაღისაკენ, დაზგებისაკენ!

იმპერიის მინისტრის დოქტორი გებელსის მოწოდება

26 ივლისს, საღამოს, იმპერიის მინისტრმა დოქტორმა გებელსმა გერმანიის რადიოთი წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. მოგვყავს იგი ოდნავი შემოკლებით.

„მე უნდა გავუკეთო ზუსტი მოხსენება გერმანელ ხალხს, — სთქვა მინისტრმა, — 20 ივლისის ამბებისა და იმ დასკვნების შესახებ, რომელნიც მათგან უნდა გამოვიტანოთ. ამაზე მე მთხოვდნენ მრავალრიცხოვანი წერილებით ქვეყნის ყველა კუთხიდან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვფიქრობდი, რომ აუცილებელია კიდევ რამოდენიმე დღით მოცდა მანამდე, სანამ გამოირკვეოდა ამ სამარცხვინო ამბების კულისებსიქითა უკანასკნელი საიდუმლოებანი. ეს მომენტი უკვე დადგა. მე არაფერს დავფარავ. ამბები თვითონვე ლაპარაკობენ თავისთავზე ნათლად და არაორაზროვნად.

განგების ძალით

მე მინდა მოგცეთ ამბების სახე და შეუფერადებელი მიმოხილვა. გერმანელ ხალხს აქვს სრული საფუძველი შეიძინოს ამ ამბებიდან კიდევ უფრო მტკიცე რწმენა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებაში, რომელიც განგების ხელში იმყოფება. ჩვენი მტრები თავს ვერ ინუგეშებენ იმით, რომ ამ ვერაგმა და მდაბალმა თავდასხმამ, რომელიც მიმართული იყო ფიურერისა და მისი სახელმწიფოს წინააღმდეგ, ხელი შეუწყო მათ საკუთარ საქმეს. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ არ არსებობს ისეთი უბედურება და საფრთხე, რომელიც ბოლოსდაბოლოს, ჩვენს სასარგებლოდ არ შემობრუნდებოდეს.

მე ხშირად ვგრძნობდი, მაგრამ ასეთ ნათელ და დამაჯერებელ ფორმებში არასოდეს არ მიგრძვნია, რომ ფიურერი თავის მოწოდებას ასრულებს განგების ძალით და რომ არავითარ ვერაგობას, არავითარ სიმდაბლეს არ შეუძლია ხელი შეუშალოს მას ან შეაჩეროს იგი.

ბერლინის დაცვის ათასეული

თავდასხმის შემდეგ, რომელიც მოხდა ნაშუადღევის 4 საათზე, როგორც მოსალოდნელი იყო, მოღალატეების პატარა ხროვამ დაიწყო თავისი შავბნელი საქმიანობა. თავდასხმის მომწყობი ვიღაც გრაფი შტაუფენბერგი სწრაფი თვითმფრინავით ჩამოვიდა ბერლინში და ჩამოიტანა მოგონილი ცნობა, ვითომ ფიურერი დაიღუპა და მიუთითა, რომ პატივმოყვარე ბოროტგანმზრახველთა შემდგომი მოქმედების გზა ამრიგად უკვე გახსნილია. თავდასხმა მოწყობილი იყო იმ მიზნით, რომ გაენთავისუფლებინათ ფიცისაგან გერმანული არმია და შემდეგ, როგორც დაბრმავებულ შეთქმულთ იმედი ჰქონდათ, ამგვარად გამოწვეული არეულობის დროს, ადვილად გადაებირებინათ იგი თავის მხარეზე და გამოეყენებინათ თავისი ვერაგი განზრახვებისათვის.

იმპერიის მთავრობის დაცვის საბაბით, მათ გამოიყენეს (თუმცა მეტად მოკლე დროის განმავლობაში) სამხედრო ცენტრის აპარატი ბენდლერშტრასეზე და მისცეს ბრძანება დაცვითი სამსახურის ათასეულს დაეკავებინა მთავრობის რაიონი. ამით დამთავრდა შეთქმულთა მთელი საქმიანობა, ვინაიდან მათ დაავიწყდათ, რომ ბერლინის დაცვის ათასეული, ისევე როგორც გერმანიის არმიის ყველა სხვა სამხედრო ნაწილი, შესდგება ფანატიკურად განწყობილი ნაციონალ-სოციალისტებისაგან. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ამ ათასეულის მეთაური მაიორი რემერი, რომელმაც განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი ამ ფიცგატეხილი ხროვის ანტისახელმწიფოებრივი საქმიანობის მეუხეულად ჩაქრობაში, სასწრაფოდ გამოცხადდა ჩემთან და მაცნობა საქმის ვითარება.

ერთი საათის შემდეგ ამით პრაქტიკულად დამთავრდა მთელი ეს ავაზაკობა. მაიორმა რემერმა ჩემ მაგიდასთან მიიღო შესაძლებლობა პირდაპირი მავთულით დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა ფიურერს და მიეღო მისგან გარკვეული და არაორაზროვანი ბრძანებები შემდგომი ზომების შესახებ. ტელეფონით ჩატარებული ეს ლაპარაკი მიეკუთვნება ყველაზე ძლიერ მოგონებათა რიცხვს ჩემს ცხოვრებაში. გერმანული არმიის ახალგაზრდა ოფიცერს, გამოცდილ მებრძოლს, რაინდობის ჯვრით დაჯილდოვებულს, აქვს პატივი პირადად თავისი ბელადისა და უმაღლესი მთავარსარდლისაგან მიიღოს პირდაპირი მითითებები, სახელდობრ იმ დროს, როდესაც ყველაფერი დამოკიდებულია მის პირად პასუხისმგებლობაზე, სწრაფ და აუღელვებელ მოქმედებაზე.

ბრძანებებს სავსებით გარკვეული აზრი ჰქონდა: მოისპოს გამცემლების ბრბო, დაპატიმრებულ იქნან ბოროტგამზრახველნი.

მიმართვა ბერლინის დაცვის ათასეულისადმი

რამდენიმე წუთის შემდეგ ბერლინის დაცვის ათასეული გამოწვეულ იქნა თავისი პოსტებიდან, რომელიც მას ეკავა მთავრობის კვარტალში და შეიკრიბა ჩემს ბაღში. მაიორი რემერის თხოვნით ჯარისკაცებს მივმართე სიტყვით და განვუმარტე მათ საქმის ვითარება. პასუხად, მე გავხდი მოწმე აღფრთოვანებისა და რისხვის ისეთი აზვირთებისა, როგორიც აქამდე არასოდეს მინახავს. ეს წუთები მე შეუძლებელია დავივიწყო.

ჩემი სიტყვის დამთავრებისთანავე ოფიცრებმა და ჯარისკაცებმა მოჰკიდეს ხელი თავის თოფებსა და ავტომატებს და მოემზადნენ დამსჯელი მოქმედებისათვის. ათასეულის რიგების ყოველი მხრიდან მომმართავდნენ გულითადი თხოვნით, არ მიეცეთ არცერთი სხვა სამხედრო ნაწილისათვის ეს საპატიო საქმე — გადარეცხვა იმ სამარცხვინო ლაქისა, რომელიც გამცემელთა ბანდამ თავისი ღალატით მოსცხო გერმანელი ჯარისკაცის მუნდირს. შენობები ბენდლერშტრასეზე დაკავებულ იქნა ყოველგვარი სროლის გარეშე, ვინაიდან იქ ყველა აღსდგა შეთქმულთა ჯგუფის წინააღმდეგ. უკვე განიარაღებული, ყველას მიერ მიტოვებული შეთქმულნი, უმწეოდ სხედან ერთერთ სამუშაო ოთახში და უიმედოდ სცდილობენ მთავრობობანას თამაშს.

სამხედრო-საველე სასამართლო

აქვე ადგილზე სდგება სამხედრო-საველე სასამართლო, რომელსაც გამოაქვს სასიკვდილო განაჩენი ნამდვილად დამნაშავეებისათვის, დანარჩენებიც ისჯებიან სასტიკი პატიმრობით. დაცვის სამსახურის ათასეულის რაზმი დაუყოვნებლივ ახდენს ეგზეკუციას. ფიცგატეხილი ბოროტმოქმედნი ქვევით, ეზოში თავისი სიცოცხლით აგებენ პასუხს. ამით მთავრდება ყველაფერი.

არცერთ სამხედრო ნაწილს არც ფრონტზე და არც სამშობლოში, ამ კრიტიკულ დროს ერთი წუთითაც არ შესცვლია ერთგულება ფიურერისადმი, ერთგულება რეჟიმისადმი და გერმანელი ხალხისადმი.

მტრის ხელი

უკვე მთელი თვეა თვალში მივარდებოდა მტრის პრესის მიერ პერიოდულად გამოქვეყნებული ცნობები იმის შესახებ, რომ მან მოამზადა განსაკუთრებული მოულოდნელობა და რომლითაც ერთ მშვენიერ დღეს უნდა შევეტყო. ლონდონში, ვაშინგტონსა და მოსკოვში განუწყვეტლივ ამტკიცებდნენ, რომ გერმანიაში, გენერალიტეტის გარკვეულ წრეებში არსებობს ოპოზიცია. ამასთან ასახელებდნენ პირებს, რომლებიც მართლაც აღმოჩნდნენ გადატრიალების მოწყობის ცდის მონაწილეებად 20 ივლისს.

მარტო ეს არ ამტკიცებს იმას, რომ ბოროტგანმზრახველნი იყვნენ შეთქმულნი მტერთან და მოქმედებდნენ მისი დავალებით. ხომ არ ამტკიცებს ამას ის ფაქტიც, რომ ფიურერზე თავდასხმის დროს გამოყენებული იყო ინგლისური წარმოშობის ფეთქვადი ნივთიერება, რომ თავდასხმის შემსრულებელი იმყოფებოდა ნათესაურ კავშირში ინგლისის ფეოდალურ არისტოკრატიასთან, და რომ მას შემდეგ, რაც თავდასხმის ამბავი ცნობილი გახდა, ლონდონის პრესამ გამოსთქვა იმის იმედი, რომ 20 ივლისის ამბები მეტად მოკლე ხანში მიიყვანს გერმანიას კატასტროფამდე. ეს თავდასხმა აუცილებლად მოწყობილი იყო მტრის ბანაკიდან, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩნდნენ ადამიანები გერმანული გვარით, რომელნიც დასთანხმდნენ მის განხორციელებაზე.

მაგრამ ყველა ისინი მოსტყუვდნენ. ისინი მოსტყუვდნენ გერმანელი ხალხის, გერმანელი ჯარისკაცისა და, პირველ რიგში, ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობის შეფასებაში. ბოლოსდაბოლოს, ჩვენთან არ შეიძლება ბადოღლიობანას თამაში. ხოლო, რაც შეეხება ფიურერს, მისი სიცოცხლე ღვთის ხელშია.

გადარჩენის სასწაული

მე ეს არის დავბრუნდი ფიურერის მთავარი სადგომიდან, სადაც მრავალ დღეს დავყავი, მოვისმინე თავდასხმის დამსწრეთა ყველა მოხსენება და ჩვენება, ვნახე ოთახი, სადაც მოხდა ეს თავდასხმა და შემიძლია მხოლოდ ვთქვა, რომ თუ ფიურერის გადარჩენა ასეთი საშინელი საფრთხისაგან არ არის სასწაული, მაშინ სასწაულები საერთოდ არ არსებობენ.

ბოროტგანმზრახველი მოგზავნილი იყო ერთერთი, შემდეგში დაპატიმრებული, გენერლის მიერ ცრუ მოხსენების გასაკეთებლად ყოველდღიურ სამხედრო თათბირზე. პორტფელით მან თან მოიტანა ფეთქვადი ნივთიერება და შესაფერ მომენტში ფეხებთან დაუდო ფიურერს. გენერალ-პოლკოვნიკი კორტენი, რომელიც იდგა ფიურერის უკან, მძიმედ დაიჭრა და გარდაიცვალა. თათბირის ზოგიერთი მონაწილე აფეთქების ძალით ფანჯარაში იქნა გასროლილი რამდენიმე მეტრის მანძილზე, ხოლო მათი მუნდირები ნაგლეჯებად იქცა.

მთელს შენობაში, უაღრესად ძლიერი აფეთქების მოქმედების არეში, მხოლოდ ერთადერთი ადგილი დარჩა შედარებით ხელუხლებელი. ეს ადგილი იყო, სადაც ფიურერი იჯდა მაგიდაზე გადახრილი რუკებთან. აფეთქების ძალით მაგიდა გადასროლილ იქნა ოთახის სიღრმეში, თვითონ ფიურერი კი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მსუბუქ დაზიანებებს, სრულიად უვნებელი დარჩა.

აუცილებელი დასკვნები

მე გადავდივარ დასკვნებზე, რომლებიც აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ ამ უკვე გასული ამბებიდან. ჩვენ ვდგავართ ფრონტებზე მტრის ურდოების პირისპირ, რომელნიც აღსავსე არიან ჩვენს მიმართ სიძულვილით, და როგორც დაგვიმტკიცეს 20 ივლისის ამბებმა, ჩვენს მოსასპობად არ მოერიდებიან არავითარ საშუალებას, როგორი ვერაგი და ცბიერიც არ უნდა იყოს იგი.

ამ ბრძოლაში ფიურერი შეიძლება ჭეშმარიტად შევადაროთ ალბრეხტ დიურერის სურათის რაინდს, რომელიც იბრძვის სიკვდილისა და ბოროტი სულის წინააღმდეგ.

დასასრული მე-2 გვ.

იარაღისაკენ, დაზგებისაკენ!

იმპერიის მინისტრის დოქტორი გებელსის მოწოდება

ჩვენ უნდა დავძლიოთ ყველა ამ წინააღმდეგობათა და საშიშროებათა ჯოჯოხეთი და მიიაღწიოთ იმას, რათა ჩვენი გზის ბოლოს გავიდეთ თავისუფალნი და შევძლოთ ხუფთა მაერით ხუნთქვა. არავითარი ეჭვი არ არსებობს, რომ ამას მივაღწევთ. ჩვენ ეს უნდა შევძლოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დავიღუპებით.

თავისთავად ცხადია, რომ ამ საბედისწერო ბრძოლაში ოდნავადაც არ უნდა დავიშუროთ ჩვენი ძალები, პირიქით, იგი, რამდენადაც შესაძლებელია, უნდა გამოვიყენოთ უოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს ხურს მთელ ხალხს.

მთავრობის ამოცანას შეადგენს მოქმედებაში მოიყვანოს ხალხის ეს მზადყოფნა და შექმნას საამისოდ ორგანიზაციული და კანონიერი წინაპირობანი, რათა დრო შედარებით მართებულად განაწილდეს. ეს, ცხადია, დღესდღეობით ჯერკიდევ არ არის მიღწეული. ქვეყნის შიგნით ჩვენ მოგვეპოება ძალების მეტად დიდი პოტენციალი, რომელსაც, მართალია ვიყენებთ მნიშვნელოვანი რაოდენობით, მაგრამ არა ამომწურავად. ეს ასე არ უნდა იყოს. ომი მოითხოვს ჩვენს ერთიან ძალებს და თუ მათ სრულად გამოვიყენებთ, გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

ტოტალური ომი

ტოტალური ომი წარმოადგენს მომენტის მოთხოვნილებას. იგი, როგორც ფრონტის საჭიროებისათვის, ისე სამხედრო მრეწველობისათვის, გაანთავისუფლებს ქვეყნის შიგნით იმდენ ძალებს, რომ ჩვენთვის სამძიმო აღარ იქნება სამხედრო მდგომარეობის მიერ შექმნილ სიძნელეთა დაძლევა. სხვათაშორის, რამდენად მცირე საფუძველი აქვს მტერს ტრიუმფისათვის, ამას უახლოესი თვეები გვიჩვენებენ.

ერთი სიტყვით, ტოტალური ომი იქცევა ფაქტიურ სინამდვილედ. ამ უდიდეს რეორგანიზაციასთან დაკავშირებული ფართო ამოცანები თავმოყრილია ტოტალური ომის ორგანიზაციის საიმპერიო რწმუნებულის ხელში. თავისი დავალების შესასრულებლად ფიურერმა აღჭურვა იგი უოვლისშემცველი რწმუნებებით. იმპერიის მარშლის წინადადებით, ფიურერმა ეს ამოცანა დამაკისრა მე და დამნიშნა ტოტალური ომის ორგანიზაციის საიმპერიო რწმუნებულად. მე ნათლად მაქვს წარმოდგენილი ის სიძნელენი, რომელნიც შემხვდება ფიურერის ამ დავალების შესრულების დროს. მაგრამ მე მათი არ მეშინია და არ დავიხევ უკან. მე ვიცი, რომ ამასთან შემიძლია სავსებით დავეყრდნო მთელი ხალხის დახმარებას.

სამართლიანობა აუცილებელია პირველყოვლისა ომის პერიოდში. თუ ამ ძნელი დროის სიმძიმეს თანაბრად გავანაწილებთ ყველაზე, მას ადვილადაც გადავიტანთ. მხოლოდ ამ გზით განვახორციელებთ ჭეშმარიტ ერთიანობას ხალხისას, რომელიც დღეს ერთად იღებს მსხვერპლს იმისათვის, რათა ბოლოსაც ერთად იგემოს გამარჯვების ნაყოფი.

მე პირობას ვაძლევ გერმანელ ხალხს, გავაკეთო რაც შემიძლია ყველაფერი, რათა რამდენიმე კვირის განმავლობაში სამშობლო დავაყენო იმ სიმაღლეზე, რომელიც უთუოდ შეეფერება ომის მოთხოვნილებებს. ხელახალი რეორგანიზაციის ამ პროცესში პარტია შეასრულებს ძრავის როლს. დღეიდან პარტია უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ამოცანას — მისცეს ფრონტს ჯარისკაცები და სამხედრო მრეწველობას — სამუშაო ძალა. იგი შეასრულებს ამ ამოცანას მისთვის ჩვეული გაქანებით და ძველი რევოლუციური აქტივობით.

ომი მიიღებს ახალ სახეს

ამ ღონისძიებათა წყალობით, მდგომარეობა ფრონტებზე და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ფრონტზე მალე შეიცვლება ჩვენს სასარგებლოდ. ომი მიიღებს ახალ სახეს და ტრიუმფის ამოძახილები ჩვენს მტრებს ყელში გაეჩხირებათ.

მათ იმედი ჰქონდათ, რომ 20 ივლისით მოგვაყენებდნენ გამანადგურებელ დარტყმას, მაგრამ მტრებმა ამით მხოლოდ გამოგვაფხიზლეს, შედეგებს ვიგრძნობთ არა ჩვენ, არამედ ისინი.

ასე ხდებოდა ყოველთვის, როდესაც ნაციონალ-სოციალიზმის მტრები თავის უკანასკნელ საშუალებებს მიმართავდნენ. ჩვენი მტრები ყოველთვის ფიქრობდნენ ნაციონალ-სოციალიზმისა და ფიურერის აღსასრულის დადგომაზე, მაგრამ ისინი მუდამ სასტიკად სცდებოდნენ. ასეთი საშიშროება ჩვენთვის ყოველთვის წარმოადგენდა გაჯანსაღების და არა დაავადების პროცესს. ასე იქნება ეხლაც. მე ამას არამარტო ვგრძნობ, არამედ ვიცი კიდეც. მე ვკითხულობ ამას იმ მრავალრიცხოვან ადამიანთა თვალებში, რომლებთანაც მიხდება ხოლმე შეხვედრა. ყველა ისინი ერთნაირად გრძნობენ, რომ საქმე კვლავ აღმავალი გზით წავა, არა რაიმე შემთხვევის საფუძველზე, არამედ ჩვენი საკუთარი ძალის საფუძველზე. ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: დარწმუნებული ვყავით რა მოწინააღმდეგის ტექნიკურ უპირატესობაში განსაზღვრული დარგების მხრივ, ჩვენ თავიდან უნდა დავიწყო. ჩვენთვის უკვე დიდიხანია ნათელი გახდა, რომ ჩვენ შეგვიძლია მოწინააღმდეგე მხარის დამარცხება რაოდენობითი უპირატესობით კი არა, არამედ ტექნიკური ომის წარმოების ახალ საშუალებათა და შესაძლებლობათა შექმნით, საკითხი მდგომარეობდა არა იმაში, რომ დავეწვეოდით მტრის უპირატესობას, არამედ იმაში, რომ გაგვესწრო მისთვის. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ეს უკვე მიღწეულ იქნა სამხედრო ტექნიკის სხვადასხვა დარგებში. ამ თვალსაჩინო განვითარების შედეგები სულ უფრო მეტად გამოჩნდება სამხედრო მოქმედებათა ასპარეზზე. ჩვენი იარაღის „V1"-ის გამოყენება წარმოადგენს ამის, ასე ვთქვათ, შესავალს.

ადოლფ ჰიტლერის ბრძანება

ყველა ძალების ტოტალური მობილიზაცია

1944 წლის 25 ივლისს, ფიურერმა გამოსცა დიდი გერმანიისათვის, მასთან შეერთებული და დაკავებული ოლქებისათვის განკარგულება, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო დაცვისათვის ყველა ძალების ტოტალურ მობილიზაციას. ამ განკარგულების უმნიშვნელოვანესი მითითებანი შემდეგია:

„სამხედრო მდგომარეობა მოითხოვს ყველა ძალების მთლიანად გამოყენებას არმიისათვის და მრეწველობისათვის. ამიტომ მე ვბრძანებ:

I

სახელმწიფო დაცვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, იმპერიის მარშალმა ჰერმან გერინგმა, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება უოველმხრივ შეუფარდოს ტოტალური ომის წარმოებას. ამ დავალების შესრულების მიზნით მან მიერ დამენიშნა „საიმპერიო რწმუნებული სახელმწიფოს დაცვის საქმეში ყველა ძალების ტოტალური მობილიზაციისათვის".

უკანასკნელმა განსაკუთრებით უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ყველა საზოგადოებრივი ღონისძიება შეეფარდებოდეს ტოტალური ომის მიზნებს, რომ ჯარი და მრეწველობა არ განიცდიდეს სამუშაო ცოცხალი ძალის ნაკლებობას. მან უნდა გადასინჯოს მთელი სახელმწიფო აპარატი, რკინიგზების ჩათვლით, ფოსტა, ყველა საზოგადოებრივი დაწესებულება და წარმოებანი თავისი მოწყობილობებით, შეამოწმოს ისინი და გაანთავისუფლოს მაქსიმალური ძალები ჯარისა და სამხედრო მრეწველობისათვის, ხალხისა და საშუალებათა გონივრი გამოყენების გზით და იმ დავალებათა შემცირებით, რომელთაც ნაკლები სამხედრო მნიშვნელობა აქვთ, აგრეთვე საქმის წარმოების მეთოდებისა და ორგანიზაციის გამარტივების გზით.

ამ მიზნისათვის მას ეძლევა უფლება მოითხოვოს იმპერიის უმაღლესი დაწესებულებებისაგან ცნობები და აგრეთვე მისცეს მათ ინსტრუქციები.

იმპერიის სათანადო ორგანიზაციების მიერ, ამის შედეგად გამოცემული ყველა საკანონმდებლო დადგენილება და სახელმძღვანელო ადმინისტრაციული განკარგულებანი შეთანხმებული უნდა იქნას იმპერიის მინისტრთან და იმპერიის კანცელარიის უფროსთან, პარტიული კანცელარიის ხელმძღვანელთან და იმპერიის სამართველოს გენერალურ რწმუნებულთან.

II

პარტიული კანცელარიის ხელმძღვანელი მიიღებს რწმუნებათა საფუძველზე, საქმიან დახმარებას გაუწევს ჩემს მიერ გამოცემულ განკარგულებათა შესრულებას პარტიული აპარატის საშუალებით.

✲

ამ განკარგულების საფუძველზე, სახელმწიფოს დაცვის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, იმპერიის მარშლის ჰერმან გერინგის წინადადებით, ფიურერმა დანიშნა დოქტორი გებელსი იმპერიის სრულუფლებიან რწმუნებულად, სახელმწიფოს დაცვის საქმეში ყველა ძალების ტოტალური მობილიზაციისათვის.

ახალი იარაღი

ამ განვითარებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ის გარემოება, რომ ეს განვითარება მოქცეულია სრულიად ახალ ჩარჩოებში. მთელი უფლებით შეიძლება მოველოდეთ, რომ მტერი დადგება ახალი ფაქტების წინაშე და იგი საამისოდ სავსებით მოუმზადებელი იქნება.

თუ ბრიტანეთის საზოგადოებრიობა დღეს ლაპარაკობს ჩვენი იარაღის „V1"-ის წინააღმდეგ თავდაცვის საშუალებათა შესახებ, ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან ძირითადი უპირატესობა ამ იარაღისა მდგომარეობს არაიმდენად იმაში, რომ აღნიშნულ მფრინავ ბომბებს არა ჰყავთ პილოტები, არამედ იმაში, რომ მტრის თავდაცვის მთელი სისტემა არარაობად იქცევა.

ასეთივე მოქმედებისა იქნებიან იარაღთა სხვა ახალი სახეებიც, რომელთაც მომავალში გამოვიყენებთ სხვადასხვა უბნებზე. ამგვარად, ჩვენ არამარტო დავეწიეთ იმ უპირატესობას, რაც მოწინააღმდეგეს აქამდის ჰქონდა სამხედრო ტექნიკის ამათუიმ სექტორში, არამედ მას გავუსწარით კიდეც. ეს ჩვენი მიღწევები თავის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილში განიცდიან გამოცდის სტადიას, ხოლო მათი დიდი ნაწილი უკვე წარმოებაშია.

მე ვერ გავბედავდი მელაპარაკა ასეთი ენით, ფაქტები რომ არ მაძლევდნენ ამის უფლებას. ამასწინათ მომიხდა მეხილა თანამედროვე გერმანული იარაღი, რომლის ნახვისთანავე ჩემი გული ერთი წუთით შეჩერდა. მე ამას არ ვამბობ კვეხნისათვის..."

თავისი სიტყვის დასასრულს დოქტორმა გებელსმა სთქვა:

„ასეთია საერთოდ 20 ივლისის ამბების შეჯამება. მე ვფიქრობ, გერმანელ ხალხს აქვს მეტი საფუძველი იყოს მისით კმაყოფილი, ვიდრე მის მტრებს. ფიურერი სდგას, როგორც ყოველთვის ჩვენი სახელმწიფოს საჭესთან და მტკიცედ მიმყავს ხალხი და ერი ამ ომის ყოველგვარი ქარიშხლისა და უამინდობის გადასალახავად. ჩვენი ხალხი მამაცი, ერთგული და თავდადებულია და იცის მხოლოდ ერთი მიზანი — იბრძოლოს და იმუშაოს, სანამ გამარჯვება ჩვენი არ იქნება. იგი მადლობით არის აღსავსე ყოვლისშემძლის მიმართ იმისთვის, რომ მან თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა ფიურერი და სთხოვს მას არ მიატოვოს იგი მომავალშიც.

ჩვენ კი ყველანი უნდა ვცდილობდეთ ერთმანეთს გადავაჭარბოთ მის სიყვარულსა და ერთგულებაში და მისი ისტორიული მისიის რწმენაში. ჩვენს ხელშია შესაძლებლობა მივცეთ ომს ახლო მომავალში ახალი გეზი. წინაპირობები საამისოდ უკვე თვალწინ გვაქვს, გამოვიყენოთ ისინი!

ღვთაებრივ განგებას თავისი თავის გამოვლინება არ შეეძლო იმაზე მეტად, ვიდრე ფიურერის სასწაულებრივი გადარჩენის ფაქტში. მას სურს, რომ ჩვენ მომავალშიც დავიმსახუროთ გამარჯვება, რათა შეეძლოს მას ერთ მშვენიერ დღეს დაგვენის გვირგვინით დაგვაჯილდოვოს. ხელი მოვკიდოთ მუშაობას, მზერა მივაპყროთ მომავალს, რომელიც ჩვენი იქნება".

მარცხნივ: ოთახი, სადაც იმყოფებოდა ფიურერი, აფეთქების შემდეგ. მარჯვნივ: ადოლფ ჰიტლერი და მუსოლინი ათვალიერებენ აფეთქებით გამოწვეულ ნგრევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულებანი ტოტალური მობილიზაციის შესახებ

ტოტალური სამხედრო მობილიზაციის საიმპერიო რწმუნებულთან და საიმპერიო მინისტრ დოქტორ გებელსთან შეთანხმებით, სამუშაო ძალების მობილიზაციის გენერალურმა რწმუნებულმა ზაუკელმა გამოსცა შემდეგი ორი ბრძანებულება:

1. ბრძანებულება ფიქტიური შრომითი ხელშეკრულებების გაუქმების შესახებ. იგი ეხება სამუშაოზე გამოწვეულ იმ პირებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობას იხდიან მხოლოდ ფიქტიურად; ე. ი. სარგებლობენ რა ნათესაური, ან სხვა რაიმე კავშირით, სდებენ ისეთ შრომით ხელშეკრულებას, რომელიც მათ საშუალებას აძლევს შორს იდგნენ ერის საერთო სამხედრო დაძაბულობისაგან. ყველა ასეთი ფიქტიური შრომითი ხელშეკრულება უნდა იქნას გაუქმებული 1944 წ. 15 აგვისტომდე. აღნიშნული თარიღის შემდეგ, როგორც სამუშაოს მიმცემთ, ისე მუშებსა და მოსამსახურეებს ასეთ შემთხვევაში მოელით ყველაზე სასტიკი სასჯელი.

2. ქალთა სამუშაო ძალის ასაკის 45 წლიდან 50 წლამდე გადიდების შესახებ. აღნიშნული ასაკის ქალთა მეტი ნაწილი ამჟამად უკვე თავისი სურვილით მონაწილეობს საერთო მუშაობის პროცესში, ხოლო დანარჩენნი — აქ ლაპარაკია მრავალ ათასებზე, — ვალდებული არიან შრომის ბირჟაში დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ. გამოცხადების ვადები ადგილობრივი შრომის ბირჟების მიერ ცალკე იქნება გამოქვეყნებული პრესისა და განცხადებათა საშუალებით. მიღებულია ზომები იმისათვის, რომ ახალწვეულებმა ნამდვილად მიიღონ სათანადო სამუშაო, რომელიც აუცილებელია სამხედრო მრეწველობისათვის, მათი ძალისა და უნარის შესაბამისად.

მუსოლინის მიმართვა ჯარისადმი

გერმანიაში ყოფნისას, მუსოლინიმ შემდეგი სიტყვებით მიმართა „მონტე როზას" დივიზიის ოფიცრებსა და ჯარისკაცებს, რომლებიც იტალიის ფრონტზე მიემგზავრებიან: „თქვენი მტრები იქნებიან არა ევროპელები, არამედ აფრიკის, აზიისა და ამერიკის ხალხები, დაქირავებული უიდეო ჯარები... თქვენი დივიზია იტალიის ჯარის ჭეშმარიტი ნაწილია... თქვენ, სცხოვრობდით რა ჩვენი მოკავშირე დიდი გერმანიის ხალხთა შორის, უკვე დარწმუნდით, რომ იგი გამარჯვების ღირსია არამარტო თავისი იარაღის სიძლიერის, არამედ წესრიგის, ენთუზიაზმისა და გაღებული მსხვერპლის გამო...

რომი, რომელმაც თავისი ისტორიის მანძილზე, განიცადა' კონსულთა გამარჯვებული ტრიუმფები, ამჟამად ხედავს თავის შეურაცყოფილ ქუჩებზე ყოველგვარი კულტურის გარეშე მდგომ ელემენტებს. სწორედ ეს გვაწუხებს ჩვენ და ამავე დროს გვაიძულებს სულით ავმაღლდეთ".

პოლკის მეთაურის სადღეგრძელო.

✲

მტერი იძულებულია აღიაროს

„ტაიმსის" სამხედრო მიმომხილველი სწერს: სატანკო შეტევები კანთან პირველ ხანებში წარმატებით მიმდინარეობდა, მაგრამ უეცრად შეჩერდა გერმანიის თავდაცვითი ხაზისა და საარტილერიო ზღუდეების წინ. გერმანელებმა არამარტო ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს, არამედ აწარმოებდნენ კიდეც სასტიკ საპასუხო დარტყმებსო.

გერმანული ცნობების მიხედვით, ინგლისის ჯარმა ვერ შესძლო მეისა და ტიი ლოა კამპანთან აღებული უმნიშვნელო სივრცის შენარჩუნება. უდაოა ის გარემოება, რომ ინგლის-ამერიკელები ამჟამად იმყოფებიან ბრძოლის გართულებულ პერიოდში.



შორსმსროლი ქვემეხი კარელიის ყელზე.

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

როგორც ფიურერის მთავარი სადგომიდან იტყობინებიან, განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე უკანასკნელი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა მძაფრი ბრძოლები. ნორმანდიაში ინგლის-ამერიკელების მიერ დაწყებული დიდი მასშტაბის შემოტევები უფრო-და-უფრო მწვავე ხასიათს ღებულობს. კ ა ნ ი ს სამხრეთ-დასავლეთიდან ნახევარკუნძულ კ ო ტ ა ნ ტ ე ნ ი ს დასავლეთ სანაპირომდე მიმდინარეობდა სასტიკი ბრძოლები. დასავლეთის ფრონტის ამ რაიონში მტრის ყოველგვარი ცდა, გაერღვია ჩვენი თავდაცვის ხაზი, უშედეგოდ დამთავრდა. კ ო მ ო ნ ა ს ორსავე მხარეზე ინგლის-ამერიკელებმა შესძლეს შემოჭრილიყვნენ ჩვენს განლაგებაში. ეხლა აქ მიმდინარეობს გერმანელების კონტრშეტევები. განსაკუთრებით მძაფრი ბრძოლები სწარმოებს ს უ რ დ ა ვ ა ლ ი ს და ს ე რ ე ნ ც ი ს სამხრეთით, სადაც, უკანასკნელი ცნობით მტრის მიერ გარემოცულმა, „სს"-ის ჯარების სატანკო ნაწილებმა, გაარღვიეს რკალი, შეუერთდნენ მთავარ ძალებს, მიიტანეს მტერზე მძლავრი იერიში და მიაყენეს მას დიდი ზარალი. ამ ხნის განმავლობაში დასავლეთის ფრონტზე განადგურებულია მტრის 365 ტანკი.

გერმანიის მძიმე ბომბდამშენთა შენაერთი თავს დაესხა ინგლის-ამერიკელების სამხედრო გემთა ქარავანს მდ. ორნისა და სენის შესართავში და მიაყენა მას მეტად საგრძნობი ზიანი. გერმანიის სწრაფმავალმა კატარღებმა ჩასძირეს ინგლისის სამი დიდი გემი.

უკანასკნელ კვირას, დღედაღამის განმავლობაში, ლონდონსა და სამხრეთ ინგლისზე მძვინვარებდა „V 1"-ის ცეცხლი.

იტალიის ფრონტზე, ინგლის-ამერიკელებმა, გერმანელებისაგან მიყენებული დიდი დანაკარგის გამო, კვირის დასაწყისში შეაჩერეს შემოტევები ქ. ფ ლ ო რ ე ნ ც ი ა ზ ე.

ბალკანეთში განადგურებულია მრავალი კომუნისტური ბანდა.

უკანასკნელი კვირის განმავლობაში აღმოსავლეთის ფრონტზე გერმანულმა ჯარებმა დაიხიეს უკან და დასტოვეს ქალაქები: ლ ე მ ბ ე რ გ ი, ბ რ ე ს ტ - ლ ი ტ ო ვ ს კ ი, ბ ე ლ ო ს ტ ო კ ი, დ ი უ ნ ა ბ უ რ გ ი და კ ო ვ ნ ო.

ქ. ვ ა რ შ ა ვ ა ს თ ა ნ მოსულ მტრის ნაწილებს ჩვენმა კონტრშემტევმა ძალებმა დიდი ზარალი მიაყენეს და უკან განდევნეს.

ლატვიაში გერმანულმა ჯარებმა კონტრიერიშით აიღეს ქ. ბ ი რ ზ ე ნ ი.

ივლისის განმავლობაში გერმანიის საჰაერო ძალების მიერ განადგურებულია მტრის 1.236 ოთხმოტორიანი ბომბდამშენი.

გამაფრთხილებელი ზომები

სლოვაკიის მთავრობამ გადასწყვიტა არასლოვაკური წარმოშობის პირთა უფლებების გადათვალიერება. უპირველეს ყოვლისა, ეს ღონისძიება ეხება ჩეხებსა და ებრაელებს, რომელთა მოქმედება ამ ბოლო ხანებში გამომწვევი და მტრული გახდა.

სამხედრო მიმოხილვა

„ბრძოლა ლონდონისათვის". — გერმანული საიდუმლო იარაღის გამანადგურებელი ძალა. — „დაიწყო ომის ახალი ერა". — ახალი იარაღის მხოლოდ ხანგრძლივ გამოყენებას შეუძლია მოსალოდნელ შედეგამდე მიგვიყვანოს. — რა მოჰყვა „V1"-ის ხმარებას?

როდესაც 15 ივნისს ლონდონის წინააღმდეგ გამოყენებულ იქნა ახალი გერმანული საიდუმლო იარაღი, მთელმა მსოფლიომ სუნთქვა შეაჩერა. არავის არ ჰქონდა ზუსტი ცნობები ამ იარაღის შესახებ, მაგრამ არც არავინ დაეჭვებულა, რომ სამხედრო ხელმძღვანელობის გერმანელი ოსტატები და მათი ინჟინრები მსოფლიოში ყველაზე უკეთესნი არიან.

ლონდონისა და სამხრეთი ინგლისის წინააღმდეგ ახალი გერმანული იარაღის გამოყენებას იქ პასუხად მოჰყვა ტიპიური ბრიტანული რეაქცია. ჯონ ბულმა თავი ქვიშაში ჩარგო და მიიღო შეხედულება, თითქოს მთელი აღნიშნული ისტორია მას არ ეხებოდეს. ეს „სიჩუმის შეთქმულება", როგორც ერთმა შვეიცარიულმა გაზეთმა უწოდა ინგლისელთა მოქმედებას, დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ჩერჩილი თემთა პალატაში თავისი გამოსვლის დროს, იძულებული იყო ელიარებინა, ლონდონი საათის მექანიზმის სიზუსტით ინგრევაო. მოსახლეობის უკიდურეს ფსიქიკურ დაძაბულობასა და ლონდონში უზარმაზარ ზარალთან დაკავშირებით. სიცრუის ამ ცნობილ ოსტატს მოუხდა გამომტყდარიყო, რომ „V1" წარმოადგენს მეტად სერიოზულ სამხედრო იარაღს. იგივე განაცხადა ბრიტანეთის საზენიტო არტილერიის მთავარსარდალმა, სერ ფრედერიკ პაილმა, რომელმაც, გარდა ამისა, აღიარა, რომ ჰიტლერის მფრინავმა ბომბმა ომის ახალი ერა დაიწყოო.

მფრინავი ბომბები თითქმის ყოველდღე აყენებენ აურაცხელ ზარალს ბრიტანეთის იმპერიის გულს. მსოფლიო კვლავ ლაპარაკობს ლონდონისათვის ბრძოლაზე, და ინგლისური პრესის სამხედრო მიმომხილველნი ამასთან დაკავშირებით ყველაზე უიმედო აზრებს გამოსთქვამენ. ერთ-ერთი დიდი შვეიცარიული გაზეთის კორესპონდენტი სწერს: ამ ომის განმავლობაში ინგლისის საზოგადოებრიობის ნერვების მიმართ დარტყმამ მიაღწია სრულიად თვალსაჩინო შედეგამდეო. ამავე დროს ლონდონში იძულებული არიან გამოტყდნენ, რომ „ბრძოლა ლონდონისათვის" მხოლოდ დაიწყო, ხოლო მსოფლიო პრესა უკვე მსჯელობს ახალი გერმანული იარაღის, „V2"-ის შესახებ, რომელიც დაჩრდილავს „V1"-ის მოქმედებას.

როგორც უკვე ცნობილია, ახალი გერმანული საიდუმლო იარაღი წარმოადგენს ბომბს, აღჭურვილს სპეციალური საშუშაო მექანიზმით, რომლის ზომა განსაზღვრავს მფრინავი „მეტეორების" ფრენის სიშორეს. მაშასადამე, ლონდონი სრულიადაც არ წარმოადგენს უკიდურეს დისტანციას. გერმანულ სამხედრო წრეებში მიუთითებენ იმაზე, რომ ახალი იარაღის მხოლოდ ხანგრძლივ გამოყენებას შეუძლია მოსალოდნელ შედეგამდე მიგვიყვანოსო.

„V1"-ის მოქმედებამ ეხლა უკვე გვიჩვენა შემდეგი შედეგები:

1. მან გამოიწვია მტრის საჰაერო შემოტევის ძალთა დაქსაქსვა. „V-1"-ის გამოყენების დაწყებიდან ინგლისელები და ამერიკელები იძულებული იყვნენ გამოეყოთ ბომბდამშენთა სულ უფრო ძლიერი შენაერთები ახალი იარაღისაგან თავდასაცავად. ამით მათ საშუალება წაერთვათ გამოეყენებინათ ისინი შემოჭრის ფრონტზე მხარის დასაჭერად სხვა ოპერაციებისათვის. ინგლის-ამერიკელებმა 1.000 ბომბდამშენი გაგზავნეს გერმანული მფრინავი ბომბების სავარაუდო საწყისი პუნქტებისაკენ, რითაც გამოირიცხა მათი გამოყენება შემტევი ოპერაციებისათვის. ბომბდამშენებს გამანადგურებელთა მნიშვნელოვანი დაცვის გარეშე ფრენა არ შეუძლიათ. ამგვარად, ახალი გერმანული იარაღის ხმარებით, ინგლის-ამერიკელებმა ვეღარ გაგზავნეს ყოველგვარ შეტევით ოპერაციებში ორი ავიაჯგუფი.

2. მან გამოიწვია ბრიტანეთის კუნძულის საჰაერო დაცვის ძალთა დაქსაქსვა. ინგლისელები მუდამ თვითონ აცხადებდნენ გამანადგურებელთა გამოყენების შესახებ. ამით მათ მიერ მოპოვებულ წარმატებებს თვითონვე არადამაკმაყოფილებლად სთვლიან. მაგრამ ახალმა იარაღმა ინგლისელები აიძულა ინგლის-ამერიკელების საჰაერო ძალთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ჩამოეშორებინათ მუდმივი პატრულირებისაგან და ამით ძლიერ დაეკავშირებინათ ისინი ერთმანეთთან.

3. ბრიტანეთის საზენიტო ძალების სანტიკი უშედეგო სროლა იწვევს მხოლოდ ჭურვების დახარჯვასა და ჭვემებთა გაცვეთას, რამაც საგრძნობი გავლენა უნდა იქონიოს ფრონტის მომარაგებაზე.

ამ სამხედრო ფაქტების გვერდით, „V1"-ის გამოყენება ლონდონის წინააღმდეგ იწვევს შედეგებს, რომელთა შეფასება ჯერჯერობით ნაადრევია. დღედაღამ ისმის არეზე მფრინავი ბომბების ზუილი, ჩნდება სულ ახალი და უდიდესი ხანძრები. ლონდონი უძილო ქალაქად გადაიქცა. ინგლისის გულმა უკვე აღარ იცის ნორმალური მუშაობა. ათიათასობით ადამიანები ყოველდღიურად სტოვებენ ქალაქს. როგორც ერთ-ერთი შვეიცარიული გაზეთი გადმოგვცემს, ლონდონელები განიცდიან გრძნობას, როგორც ადამიანები, რომლებიც სდგანან დამსჯელი რაზმის პირისპირ, რომელსაც მათგან ყოველი მეათე დასახვრეტად მიჰყავს. ყველაფერი ეს იწვევს ღრმა სულიერ დაცემას, ხალხის აღშფოთება ჩერჩილის წინააღმდეგ თანდათან იზრდება, ხოლო რწმენა ინგლისის გამარჯვებისა ყოველდღიურად სულ უფრო-და-უფრო ქარწყლდება.

რაღა მოხდება ინგლისში, როდესაც ჰიტლერი ბრძანებას გასცემს გამოიყენონ შემდგომი სახეები ახალი იარაღისა, რის შესახებაც უკვე ლაპარაკია მსოფლიო პრესაში?

მოხ. მ. მ.

ლატვიელი მოხალისეები თავგამოდებით იცავენ სამშობლოს დამოუკიდებლობას.

ქართველ პროპაგანდისტთა კურსები

მიუხედავად რთული სამხედრო მდგომარეობისა, რომელიც ამჟამად არსებობს დიდი გერმანიის იმპერიაში, უმაღლესი სარდლობა სათანადო ყურადღებას აქცევს მოხალისე ჯარისკაცების პოლიტიკურ აღზრდას. ამ მნიშვნელოვანი საქმისათვის პერიოდულადეწყობა პროპაგანდისტთა კურსები, სადაც მზადდება კადრი მოხალისეთა რიგებიდან. კურსების დამთავრების შემდეგ პროპაგანდისტები საჭირო დახმარებას უწევენ იმ მოხალისეებს, რომლებიც ბრძოლის ველზე იმყოფებიან და საერთაშორისო ცხოვრებას დროებით ჩამოშორებული არიან.

ამ მიზნით, რამოდენიმე დღის წინათ პოტსდამში გაიხსნა სპეციალური საագიტაციო-საპროპაგანდო კურსები ქართველი მოხალისეებისათვის. კურსებზე ჩამოვიდა 45 კაცი, აღმოსავლეთის, დასავლეთისა და იტალიის ფრონტებიდან. ქართველი მოხალისეები, რომლებიც ჯერ კიდევ რამოდენიმე დღის წინათ, ფრონტზე თუ ზურგში ყოფნისას, წარმატებით ასრულებდნენ საბრძოლო ამოცანას, განსაკუთრებული მონდომებით და ენერგიით შეუდგნენ საინტერესო და საჭირო მასალის შეთვისებას.

კურსებზე იკითხება ლექციები შემდეგ თემებზე: 1. საქართველოს ძველი და ახალი ისტორია; 2. საქართველოს სამხედრო ხელოვნება და ძველი ქართველი მხედრობა; 3. გერმანია და პატარა ერები; 4. გერმანია-საქართველოს თანამშრომლობა; 5. გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მოძრაობა; 6. ქრისტიანული მოძღვრების პროგრესული როლი ქართველი ერის ნაციონალურ მეობაში.

პარალელურად, მოხალისეები ისმენენ ლექციებს თანამედროვე მნიშვნელოვან თემებზე. კურსების ხელმძღვანელად დამტკიცებულია მოხალისე ფელდფ. ი. კ., ხოლო სასწავლო ნაწილის გამგედ — ბ-ნი ალ. ახათიანი. ლექციებს ატარებენ ქართული საკავშირო შტაბის მიერ დანიშნული ლექტორები. მსმენელებზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ლექციები საქართველოს ისტორიიდან, რომლის გაცნობას ისინი „ბოლშევიკურ სამოთხეში" მოკლებული იყვნენ.

საქართველოს მოსახლეობის შეგნებული ნაწილი 25 წლის განმავლობაში ებრძოდა ბოლშევიკურ რეჟიმს, რომელმაც ფეხქვეშ გასთელა საქართველოს მდიდარი წარსული, ქართველი ხალხის ისტორია კი ჭეშმარიტად ჩვენი წინაპრების ვაჟკაცური სულის მაჩვენებელი სარკეა, საიდანაც შეიძლება ამოიკითხო გმირობა, პატრიოტული გრძნობები და, რაც მთავარია, სამშობლოსათვის თავდადება.

თეორიული ლექციების გარდა, მოხალისეები ათვალიერებენ სხვადასხვა საინტერესო ისტორიულ ძეგლებს როგორც პოტსდამში, ისე სხვა ქალაქებშიც, დადიან კინოთეატრებში და სხვ. დასვენების დღეს ისინი მხიარულად ერთობიან მწვანითმოსილ ტყეებში და ფრიდრიხ დიდის სასახლის ბაღში.

მოხ. ბ. რიონელი.

ასეთი გატაცებით მას არასოდეს არ უმღერია

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან

1.

ალიონისას მოილრუბლა. ღამემ თავისი გაცრეცილი კალთები აიკრიფა და ნელი შრიალით სადღაც მიწვა. შორს ტყე და ფოთლები იდუმალ ხმაზე აშარიშურდნენ. ამოიჭრნენ ღრუბლები ჰორიზონტიდან, გადეფარნენ ცას, თითქოს დამშვიდებულ ზღვაზე ტალღები აჯირითდნენო.

ინათლა.

დაჰკრეს აღდგომის ბუკი. ასეული წამოიშალა. ახმაურდა ყაზარმა. უეცრად ხმა გავარდა: გაიოზი არ არის, მთელი ღამე არ ყოფილაო. წამით ყველა ჩაფიქრდა; ყველას რაღაც ტკივილმა გაუარა გულში. „გაიოზი წუხელ სასეირნოდ წავიდა სოფელში, ორი კილომეტრით აქედან. ვინ იცის, რა შეემთხვა. იქნებ ბანდიტები დაუხვდნენ. უსიკვდილოდ არ დანებდებოდა. იქნებ დაიღუპა ვაჟკაცი?" — ასეთმა ფიქრებმა მოიცვა ყველას გონება.

გულებში ტკივილი იგრძნეს, ტკივილი, რომელსაც ყოველი ადამიანი გამოსცდის ხოლმე მშობლიური ძმის დაკარგვის შემდეგ...

გაიოზი ყველგან, სამუშაოზე თუ სახლში, 3-4 კაცის საქმეს აკეთებდა; თუ გუშაგად იდგა, მისი თვალები არწივის თვალებსავით ენთო. საღამოზე ცეკვა-თამაშით, სიმღერით და ოხუნჯობით ისე ისე აწყობდა მოხალისეთა მოქანცულ ნერვებს, თითქოს მათ დღისით არაფერი გაეკეთებინოთ: მოღლილობა გაჰქრებოდა ხოლმე.

ასე შეაყვარა თავი გაიოზმა ამხანაგებს...

და ნუთუ ეხლა ის მტკიცე ძაფები, რომლითაც მისი და ამხანაგების გულები დაკავშირებული იყო ერთიერთთან, ჩისჭრა, ჩაწყვიტა ტყის კაცთა ქანჯიანმა ხმლებმა?! ნუთუ კვლავ აღარ დაბრუნდება იგი?..

ერთი შეიარაღებული ჯგუფი იმ სოფლისკენ გაემგზავრა, სადაც გაიოზი ეგულებოდათ. მოუთმენლად ელოდა ყველა ამ ჯგუფის დაბრუნებას. დაბრუნდნენ, მაგრამ...

სოფელში არაფერი იცოდნენ გაიოზის შესახებ. ბანდიტები ყოფილან წუხელ...

ყველამ გადასწყვიტა: დაიღუპაო ვაჟკაცი.

მუშაობდნენ საღამომდე: ბომბებით სტვირთავდნენ ვაგონებს. ყველა ისე ალაგებდა ბომბებს ერთიმეორეზე, თითქოს გაიოზის სისხლის ასაღებად აგზავნიდათ.

2.

შუადღისას შორიდან მოისმა სიმღერა.

„მოვდივართ, მოგვიხარია
მოგვყავს მამალი ხოხობი".

ახლოვდებოდა ქართული ძარღვიანი ხმა და ტყეში იმღლებოდა. ვინ უნდა იყოს?.. ვინ მოსულა დღეს სიმღერის ხასიათზე?..

ყველამ თავი მოიყარა ყაზარმის წინ. სიმღერა უკვე ბანაკს უახლოვდებოდა. შორიდან ჯარისკაცთა სილუეტები გამოჩნდა. ინტერესმა ყველა გაიტაცა გზაზე. უნებურად დაიწყეს დინება იქით, საიდანაც სიმღერა მოდიოდა. თითქოს ქორწილი ყოფილიყოს, დედოფალი მოჰყავდეთ და შესახვედრად მიიწევდნენო.

დაუახლოვდნენ ერთმანეთს და ანაზდად ვიღაცამ დაიყვირა: — გაიოზი, გაიოზი!

მომავალ ჯარისკაცებს წინ გაიოზი მოუძღვებოდა. მოარხევდა იგი თავის განიერ მხარბეჭს და მოიმღეროდა.

გაიოზიო — რომ გაიგონეს, ყველა გამოიქცა ყაზარმიდან და მიაწყდა მას. საყვარელი ამხანაგი აიტაცეს ხელში და ჰაერში სიროლით მიიყვანეს ყაზარმასთან. მოირბინა ყველა გერმანელმა. მოვიდნენ ათასეულისა და ასეულის მეთაურებიც და გულთბილად მიესალმნენ გაიოზს.

3.

— სოფელში ვიყავი წუხელ, — დაიწყო გაიოზმა, — ბანდიტები შემომაწყდნენ და დამიჭირეს. ხუთნი იყვნენ, ნასვამები. ვიფიქრე — მივწვდები ყელში და სანამ მესროდნენ, ერთს მაინც დავახრჩობ-მეთქი. მაგრამ უეცრად რაღაც მომაგონდა. დავაირდი: შემიძლია წამოგიყვანოთ კიდევ თორმეტი კაცი, რომელნიც ეხლა მეზობელ სოფელში საგუშაგოზე სდგანან-მეთქი. გაებარდათ, წამომყვა სამი კაცი და წავედით. გათენებისას იმ სოფელს მივაღწიეთ, სადაც ჩვენი ბიჭები იდგნენ. ორი კაცი უკან დარჩა, ხოლო ბანდიტთა რაზმის მეთაური მე გამომყვა. მივედით ბიჭებთან. ის მიესალმა მათ. რუსი იყო, ქართული არ გაეგებოდა. მე ბიჭებს ქართულად ვუთხარი, ასეთი საქმე შემემთხვა და ესენი ეხლა ჩვენ თვითონ უნდა დავიჭიროთ-მეთქი. ორმა თავიანთი მძლავრი ხელებით შეჰკრა იგი. დანარჩენები თან წავიყვანე იქ, სადაც ის ორი კაცი გველოდებოდა. მათ რომ შეგვამჩნიეს, გაქცევა დააპირეს. ჩვენს ცეცხლს ვერ გადაურჩნენ. რაზმის მეთაური წამოვიყვანეთ, ჩავაბარეთ ქალაქში პოლიციას, ეხლა ისევ აქ ვართ, თქვენთან ერთად, მეგობრებო. სადაც შევხვდებიან ეს ბანდიტები, მუსრს გავავლებთ!

გაიოზი დაჩუმდა და ამხანაგებს გადახედა. ყველამ მიულოცა გამარჯვება და გადარჩენა...

ცა ისევ გადაიწმინდა. ღრუბლები შემოიფანტნენ და შემოდგომის თბილი მზის სხივები საამოდ გადმოეფრქვა დედამიწას.

საღამოს ისევ გაიმართა ცეკვა-თამაში და სიმღერა.

ასეთი გატაცებით გაიოზს არასოდეს არ უმღერია. რაღაც უფრო მეტი ძალა შემატებოდა, უფრო მეტად დავაჟკაცებულიყო ამ ღამით...

მოხ. შ. თ.

აღმოსავლეთის ფრონტი.

ჩვენი დედაქალაქის მარტვილობა

გრიგოლ დიასამიძე

რომელიმე ერის მთავარი ქალაქის ისტორია ხშირად მთელი მისი სახელმწიფოს ისტორიაა. ასევე დაგვემართა ჩვენც. ჩვენი საყვარელი თბილისის წარსულის ამბავი თითქმის მთელი ჩვენი ქვეყნის ისტორიის ფურცლებია. მისი მდებარეობა სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო, თანაც მხიბლავდა შინაურსა და გარეშეს. მრავალნაირი მტერი ჩვენი სამშობლოსი უპირველეს ყოვლისა ეძგერებოდა ხოლმე ჩვენს სატახტო ქალაქს. მიუხედავად ამისა, ხალხი აქ გროვდებოდა, ქალაქი იზრდებოდა და მშვენდებოდა.

თბილისი ჩვენს ძველ ქალაქებში ყველაზე ახალგაზრდაა. იგი წარმოიშვა მაშინ, როცა ქართველი ერი ნაკლებად იყო ქრისტიანობას. ამიტომ დიდი შეცდომას მოსდით იმ ისტორიკოსებს, რომელნიც სიტყვა „თბილისს" აწარმოებენ სიტყვისაგან „ტუბალ" თუ „თუბალიდან". უკანასკნელი სიტყვა ერთი ტომის სახელია, რომელიც იხსენიება საღმრთო წერილში და რომელიც ქართველი ხალხის ერთერთ შტოდ ითვლება. ჩვენი წარსულის დიდი მკვლევარი განსვენებული დიმიტრი ბაქრაძე ძალიან სცდება, როცა თბილისის შესახებ დაწერილ ადრინდელ ნარკვევში ბრძანებს, თითქოს წინასწარმეტყველნი მისი და იეზეკიელი თუბალის სახელით თბილისს იხსენიებდნენ. მაშინ თბილისი არ არსებობდა.

ასეთივე შეცდომას სჩადის თანამედროვე სომეხი მეცნიერი ლეონ მელიქსეთბეგი, რომელიც დაჟინებით გვარწმუნებს, რომ თბილისის სახელი ტუბალიდან წარმოსდგება, თბილისი—თუბალისი!.. მაგრამ ეს მხოლოდ ბევრათა მიმსგავსებაა... არა გვგონია, თბილისის დაფუძნებისას ქართველებს ისე ხსომებოდათ ბიბლიაში ნახსენები თავიანთი უძველესი შტო, რომ ვახტანგ გორგასალის დროში, თუნდ მასზე წინათ, მისი სახელი ეწოდებინათ რომელიმე დასახლებული ადგილისათვის.

უფრო მისაღებია ის ახსნა, რომელიც ღაღადებს, რომ თბილისი წარმოსდგა სიტყვა „თბილიდან", ადგილობრივი გოგირდის ცხელი წყლების გამო. ლათინურში არის სიტყვა — „ტეპიდუს", სლავურში — „ტეპლიდ". ძველ ნუმიდიაში იყო ქალაქი ტიბელის. ბოჰემიაში ეხლაც არის ტეპლიც. ხვალი შორის ჩვენს მატიანეში მოიპოვება ცნობა, რომ თავდაპირველად ჩვენს დედაქალაქს ქართულადაც ტფილისი რქმევია და შემდეგ ეს სახელწოდება გადასულა არაბულში, ბერძნულსა და სხვა ენებში.

ყველამ იცის ცნობილი ლეგენდა თბილისის გაჩენის შესახებ. ვახტანგ გორგასალი სანადიროდ წასულა. მწევრებმა ხოხობი ააფრინეს. ქორი ხოხობს დაედევნა. ქორი და ხოხობი გაჰქრნენ. დაუწყეს ძებნა და ტყეში ერთ ადგილას ორივე ფრინველი ცხელ წყაროში ჩამხრჩვალი იპოვეს. ამ სწორედ ამ ადგილას ააშენა თბილისი გორგასალმა—ასე გადმოგვცემენ ჩვენი ძველები. რასაკვირველია, ცხელი წყარო განაცვიფრებდა მაშინდელ ხალხს, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს აღმოჩენა საკმარისი ყოფილიყო ქალაქის აშენებისათვის. ეს, როგორც უნდა, მეომარილი ფანტაზიის ნაყოფია.

სიტყვა „ქალაქი" წარმოსდგება ასურული (სირიული) სიტყვიდან „კალაქ", რაც ნიშნავს ციხეს. ქალაქებს აშენებდნენ იქ, სადაც სამხედრო საჭიროება მოითხოვდა. ისტორიული წყაროებიც მოგვითხრობენ, რომ იმ ადგილას, სადაც ეხლა ჩვენი ვეებერთელა ქალაქია, წინათ პატარა დაბა ყოფილა. მაშინ დაბას სოფელს ეძახდნენ და დღევანდელი მნიშვნელობა ამ სიტყვას არ ჰქონია. „ქართლის ცხოვრება" გვამცნობს, რომ თბილისი იხსენიება მეფე ფარნავაზის დროიდან, ე. ი. 302-237 წწ. ქრისტეს წინათ. იგივე მატიანე მოგვითხრობს, რომ მეფე ვარაზ-ბაკურის დროს (379-394 წწ.) ქართველები სპარსელებს აძლევდნენ ხარკს. ამ დროს სპარსელების მიერ დაყენებულმა ... ერისთავმა ააშენა სიმაგრე „კართა შორის ციხედ მცხეთისა", ე. ი. ასეთი ციხე, რომელიც იცავდა მცხეთას. სპარსელებს ერისთავები ჰყავდათ დანიშნული სხვა ადგილებშიც. ამ ერისთავებსა და ქართველ მეფეებს შორის ხშირად ხდებოდა შეტაკება. ერთერთ ასეთ ბრძოლაში „მოოხრდა ტფილისი", ასეა აღნიშნული ისტორიულ წყაროში ეს პირველი განცდა თბილისელი მოსახლეობისა.

ვახტანგ გორგასალმა (446-499 წ. წ.) მხოლოდ გააფართოვა ქალაქი და შეამკო ზოგიერთი შენობებით. თბილისის ნამდვილი გამშვენიერება მოხდა გორგასალის შვილის მეფე დაჩის დროს (499-514 წ. წ.). ჩვენს სიონს მან ჩაუყარა საძირკველი და ააგო ეს დიდებული ტაძარი, რომელიც დღესაც ამაყად გადმოგვყურებს. მტერმა ვერა დააკლო რა მას. რასაკვირველია, შენობა დროთა განმავლობაში რამდენჯერმე ყოფილა შეკეთებული. მეფე დაჩიმ გადმოიტანა სამეფო ტახტი მცხეთიდან თბილისში. მანვე ქალაქს საბოლოოდ შემოავლო კედელი. ამნაირად დაბა-ციხე თბილისი საქართველოს სატახტო ქალაქად გადაიქცა.

მეორე ოხრება თბილისმა განიცადა დაახლოებით 531 წ. ხოსრო-შაჰ ანუ ქასრე პირველისაგან. იგი გულნაწყენი იყო იმით, რომ გორგასალის ასულის მიცემაზე უარი მიიღო. ხოსრო-შაჰმა დრო იხელთა და დაეცა ჩვენს ქვეყანას, მდინარე იორზე გაიმარჯვა და შემდეგ თბილისიც აიღო.

თბილისი სასწაულებრივად შენდებოდა. მატიანე გვიამბობს: „მცხეთა თანდათან ათხელდებოდა და თბილისი ეშენებოდა". თბილისი გაფართოვდა განსაკუთრებით სტეფანოზ პირველის დროს. მაშინ თბილისზე მოიტანა იერიში საბერძნეთის იმპერატორმა ჰერაკლემ, რომელიც ხაზარეველთა (ყივჩაღთა) ხაყანთან იყო დაზავებული. ამ ბრძოლაში გაიმარჯვა ქართველების მომხრე სპარსელმა შაჰ-ქასრე მეორემ, რომელმაც, ისტორიის მოწმობით, „წარიტაცა ძელი ცხოვრებისა", თვით სტეფანოზი კი მოჰკლეს. ორივე მოკავშირემ აიღო თბილისი. ეს მესამე განცდა იყო ჩვენი დედაქალაქისა. ბრძოლა მოხდა 626 წელს. მატიანე აღნიშნავს, თუ როგორ დასცინეს ბრძოლის დროს ქართველებმა ბერძენთა იმპერატორს და მის მეგობარს ყეინ ხაყანს.

12 წლის შემდეგ თბილისმა მეოთხედ იგემა სიმწარე, როცა 638 წ. დაიჭირეს იგი არაბებმა.

731 წელს ხაზარეველნი ხელახლა მოულოდნელად მოუბრუნდნენ თბილისს. ეს იყო მეხუთე ოხრება მისი. ამ დროს მოხდა, სხვათაშორის, ერთი ამბავი, არჩილ მოწამის ასული შეუნიერი შუშანი და ძმა მისი ჯუანშერ თბილისის აკლების დროს დაატყვევეს და მიჰყავდათ ხაზარეველთა ხაყანთან, რომელსაც შუშანზე უარი შეეთვალა მათხოვებაზე. გზაში მან ბეჭედს თავი ახადა, სამსალა ამოსწოვა და მიიცვალა.

მეექვსედ ტანჯვა მიიღო თბილისმა 786 წელს, როცა კვლავ ეწვივნენ არაბები მას, დასვეს აქ თავის ამირა. ამ დროს, 6 იანვარს, აწამეს აბო თბილელი, ტომით არაბი, გაქ-

„ჩვენ მათ მშობლიური ნანა გვითხრეს“

რამოდენიმე დღის წინათ ქართულ ლაზარეთში კონცერტი გამართა ქართველ მოხალისე მომღერალთა გუნდმა. გუნდის გამოსვლას უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ დაჭრილი და ავადმყოფი ქართველი მოხალისეები.

დღის 2 საათისათვის ლაზარეთის ერცელ საკონცერტო დარბაზში, თავი მოიყარა ათერებელმა მაყურებელმა. ქართველთა გარდა, აქ არიან სხვა მოძმე ერების მოხალისენი და უცხოელი სტუმრები.

ყველა უწვეთლო სიხარულით მოელის გუნდის გამოსვლას.

იწყება კონცერტი.

სცენაზეა კაპელა, მოხალისე ი. გ-ს ხელმძღვანელობით. მან მოხდენილად შეასრულა რამდენიმე ქართული და ევროპული სიმღერა და მაყურებელთა მქუხარე ტაში დაიმსახურა.

მალე მას სცვლის მომღერალთა გუნდი, რომელსაც ალ. მ-ი ხელმძღვანელობს.

საუცხოო სანახავია ჩოხა-ახალუხში გამოწყობილ ქართველ ვაჟკაცთა გამოსვლა, გაპყრობს და გაჯილოებს მათი ომახიანი მოძახილი. გუნდი პირველად მღერის „ლაშქრულს“. კარგად შესრულებულმა ლამაზმა სიმღერამ საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. უცხოელმა და ქართველმა მაყურებლებმა გუნდი მქუხარე ტაშით დააჯილდოვეს. შემდეგ გუნდმა დიდი ოსტატობით შეასრულა „სამშობლო“, „ჩონგურს“, „იმავ მთაზედა“, „ჩელა“, „სიყვარული“, „სულიკო“, „საქართველო“ და სხვ. დამსწრეთა ტაში და შეძახილები დიდხანს არ შეწყვეტილა.

[illegible] ცილელი შთაბეჭდილება დასტოვა მაყურებელზე ქართულმა „ლეკურმა“, რომელიც მშვენივრად იცეკვეს მოხალისეებმა შ. ს-მ და ს. კ-ძემ. კარგი იყო აგრეთვე „მთიულური“, „საარშიყო“ და „ყაბარდოული“. ტემპერამენტიანმა ცეკვებმა უცხოელ სტუმრებში განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

შინაარსიან პროგრამას ავსებს ჰუმორისტების ტ. დ-სა და ტ. ქ-ს გამოსვლა. მათმა მახვილმა ჰუმორმა მოხალისეთა შორის ჯანსაღი სიცილი და მხიარულება გამოიწვია.

გუნდმა, მოხალისეთა თხოვნით, იმავე დოის ჩაატარა მეორე კონცერტი, რომაც ისეთივე წარმატება ჰპოვა, როგორც პირველმა გამოსვლამ.

— ჩვენ მათ გაგვამხნევეს, სიხარული მოგვიტანეს, ჩვენ მათ მშობლიური ნანა გვითხრეს, — ამბობდნენ აღტაცებული ქართველი დაჭრილი მოხალისეები.

მოხ. ლ. ძ.

გერმანიის ახალი ტანკი „პანთერი“ ნორმანდიის ფრონტზე.

კავკასიელ მოხალისეებს

ფრაიჰერ ფონ რიხტჰოფენი

FREIHERR VON RICHTHOFEN

ეს ლექსი ეკუთვნის ერთერთ გერმანელ ცნობილ მხედარს, რომელიც დიდხანს იყო კავკასიის ფრონტზე და თავისი გრძნობები საგანგებოდ ჩვენთვის დაწერილ ამ ლექსში გამოხატა.

რედაქცია.

ქედთა ცამცემენ ამაყ მთების თეთრი წვერები,
თუმც მათ ბნელეთი გარს ეხვევა შავი ღამისა;
თავისუფლების ერთხელაც არის დაჰქუხებს ხმები,
კავკასიის და განახლებულ თქვენი ქვეყნისა!

თქვენ იცით, რისთვის აღმართოთ დღეს თქვენი ხელი, —
[illegible]
ფიცხელ ბრძოლებში ხართ მედგარი და გამოწვრთნილი, —
თავისუფლება! — იგი მარად თქვენი რჩეული.

თარგმ. გერმანულიდან ბ. შ—ნი.

*

განწყობილებანი ფრაგმენტებში

მიხ. შ. ურდოშლი

1. ქუხილი და ვარდის ქალწული

დროის ქუხილი მიწას აძრწუნებს
არწივს და ქვეყნად ცვალის ამინდებს,
მაგრამ მე იგი სულ არ მაცოცებს
და სხივებს ვგრძნობ ცისა და ნაზინდელს.

მზეო, დახუნდი ზღვის სიღრმეში,
მიწის ვარდები — ვარდისფერდებინ, —
აღარ იქნება ამ სიმუნჯეში
მთვარესთან მაინც დამაკავშირით?

უთვალავი და მიუსაფარი —
მეგზური ვვალი გვიანი მგზავრის
მეტყოდა: რა ქარს და ან სად არი
ჩემი დამაზი ქალწული ვარდის.

2. გამოზაფხულება

ზამთარს ზაფხულის სხივში აჯობა —
მიწას სხივმე მკვდრული არ უნდა,
მაგრამ მდელვარე გულის ღელვა
და სიმაწვილე რომ არ დაბრუნდა?!.

3. წუთიერი განწყობილების ქაღალდზე გადმოტანა

მთვარეც აწყვანდა, ზარიც აწყვანდა,
და სულთა ზეცა უფრო დილურჯდა,
მაგრამ სიცოცხლე უფრო გამწვარდა
და სიხარული უფრო დაშუნჯდა.

რაა მიზეზი — ვერ გამიგია:
მიზნის დაკარგვა, დროის ცვალება?
მწარე წამების გრძელი სიზმარი,
თუ იმედების გარდაცვალება?

4. სამი ცთომილი

მოწმენდილ ცაზე ვარსკვლავთა კრებას
სამი ცთომილი მოშორდა სახვან,
რომელი მოხვდა ახალში ხედა
ჩემი ფიქრის და ოცნების სავანს?!

5. უშენოდ მეოფი და უდიდური

მე რომ ვიცოდი: გული არა გაქვს
და უჩემოდ გტანჯავს ენიდენ,
ის იმედებიც ნაივს გადაექვს,
ერთდროს „ნანად“ რომ შემოჰკენდნენ, —

როგორ ვიქნები მე უბედური,
ქვლავ მომღეროდე შავი ღამისა;
უშენოდ მეოფი და უდიდური
ამ ქვეყნად რაღამ გამახედინოს!

6. მარტოობა

დღე მარტო დავრჩი, ღამეც მარტო ვარ,
ციურ სიხარულს არვინ მიგზავნის,
ვემბა სიცოცხლე გამარტოვე
და დაიკარგა ლექსის მიზანიც.

ვეძლევან ნისლია და ხევის უფლის,
იმედებს როგორ უნდა ეშველის! —
ასე ეს რაღა სიხარულია,
დაიხლებული ჩემი დღეების!

7. თუ მე ქვეყანა...

თუ ეს ქვეყანა დიდი ბაღია
და ლმერთმა ჩემთვის ასე ინება,
სხანს, რომ სრულიად მეტი ბარგი ვარ —
არ მშვენის მასში გახარება.

თბილისი, 1938 წ.

*

ძლიერად ქართველ გოგონებს უცხოეთში

პარასკევა ნატაშვილი

ამ ლექსის ავტორი არის ეჭვის თანამშრომე ქართველი ქალი, რომელიც დღეს მუშაობს ბერლინის ერთერთ ლაზარეთში.

რედაქცია.

თქვენ ვეღარ ხედავთ სამშობლოს კიდეს
და სურნელებას ქართულ ვენახის,
ქართლის მარინი გიფარავთ კიდევ
და მაზგი ნეხის ტკბილი ნანისა...

გლოცავენ მარად ჩვენი დედები, —
თქვენ ამოულახართ ახალ ქარიშხალს,
ამღერით ერთი სულისკვეთებით —
ქვეყანის და თამარ ქალისას!

დაჰპატით კიდევ ჩვენი სიმღერა,
არ დაივიწყოთ დანაპირები, —

სადაც გვეტყოვით დღეს მედიწერა,
ვეღარ ხართ ქართლის მკვიდრი ციხები.

რუსთველის ტრფობა გზას განითებდეთ
და თამარის ქალური კიდე,
ქართველი მოძმე აზრს გიტაცებდეთ,
შეძლებთ მომზინეთ თავისუფლება!

თუმც ვეღარ ხედავთ სამშობლოს კიდეს,
ვეღარ გრძნობთ სურნელს ქართულ ვენახის,
არ იმწუხროთ: დრო მოვა კიდევ
შეუღებთ კარებს დარიალისას!

რისტიანებული და ჩვენი ეროვნული ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხული.

აშოტ კურაპალატის დროს (787-826 წწ.) არაბნი ძალიან მოუძლურდნენ. ამდროს თავი წამოჰყო ბუღა-თურქმა, აიღო მან თბილისი, შემუსრა ქალაქი, მოჰკლა თბილისის ამირა ისააკი. შემდეგ მისმა ცოლმა მოჰკლა თვით ბუღა. ეს იყო მეშვიდე მარცხი ჩვენი დედაქალაქისა.

1038 წელს თურქნი გაძლიერდნენ მცირე აზიაში. სულთანმა არფასარანმა განჯის მთავარ ფადლონთან ერთად წაართვა კახეთის მეფეს ალსართანს თბილისი, რომელიც დაიპყრა ფადლონმა. შემდგომ მეფე ბაგრატ მეოთხემ დაამარცხა ფადლონი და დაიბრუნა თბილისი, მაგრამ მალე გადასცა სითლარაბს. ეს იყო მერვე და მეცხრე განცდა ჩვენი თბილისისა.

მეათე თავგადასავალმა შეება არგუნა თბილისს. 1122 წელს მეფე დავით აღმაშენებელმა გაანთავისუფლა იგი არაბებისაგან.

1226 წელს, 9 მაისს, სულთანმა ჯალალედინმა აიღო თბილისი რუსუდან დედოფლის დროს. სიონის ღვთისმშობლის ხატი პირაღმა დააგდებინა ავლაბრის ხიდზე. ეს იყო მეთერთმეტე განცდა.

მეთორმეტე კიდევ ამ ჯალალ-ედინმა არგუნა 1229 წელს თბილისს, რადგან ქართველები აუჯანყდნენ მის დაყენებულ კაცს.

ამის შემდეგ თბილისმა ვერ ამოისუნთქა ხეირიანად. მოულოდნელად ღვთის რისხვა დაატყდა თავს მონგოლთა შემოსევის სახით. 1289 წლიდან 1318 წლამდე — თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში — ვახტანგ მეორის, დავით მეექვსის, გიორგი და ვახტანგ მესამის დროს — მონგოლებმა ძალიან დააზარალეს თბილისი და მთელი ამერეთი. დაინგრეველი შენობა აღარ მოიძებნებოდა. საშინელი ამბავი დატრიალდა. გაჩნდა შიმშილი.

მატიანე ამბობს: „მძორთა არა წმინდასა ერიდად ჭამდეს, სავსე იყვნეს უბანნი, ფოლორცნი, გზანი, მინდორნი, ქალაქნი და სოფელნი მკვდრებითა; ყრმანი მკვდრთა დედათა ძუძუთა ლეშთა წოვდიან“. ეს იყო მეცამეტე განცდა. ამ ვაების ბოლო მოეღო გიორგი ბრწყინვალის დროს, რომელმაც იმეფა 1318 წლიდან 1346 წლამდე. მონგოლნი დასუსტდნენ. ნოინები და ყაენები ერთმანეთს გადაეკიდნენ. ამ გიორგის ზოგიერთებმა მიაკუთვნეს სახელწოდება „პატარა დავით აღმაშენებელი“. მონგოლების გარეკვის შემდეგ თბილისი გამშვენიერდა, გაიდიდა. ასე გრძელდებოდა სამოცი წლიწადი. უცებ, დაახლოებით 1393 წელს, თბილისი გაანადგურა ცნობილმა მტარვალმა ლანგთემურმა. ეს იყო მეთოთხმეტე განცდა.

1478 წელს უზუნასან-ყაენი შემოერტყა თბილისს და მეთხუთმეტედ მიანგრ-მოანგრია. ეს ყაენი რომ მოკვდა, გაყაენდა იაყუბი. მეფე კონსტანტინემ აიღო თბილისი 1490 წელს. ეს ბრძოლა განიცადა ჩვენმა დედაქალაქმა მეთექვსმეტეჯერ.

დავით მეფის დროს (1505-1525 წწ.) ყაენმა შაჰ-ისმაილმა დააპირა თბილისის აღება, მაგრამ დავით მეფემ ერთგულება გამოუცხადა და მით აამორა ხელახალი განსაცდელი თავის სატახტო ქალაქს. შაჰისმაილმა მა[illegible] თავისი მადა მტარვალისა ამით ვერ დაიკმაყოფილა. იგი 1522 წელს მოადგა თბილისს, აიღო ციხე-ქალაქი, შემუსრა ხატნი და ჯვარნი. ღვთისმშობლის ხატი გაძარცვა და მტკვარში ჩააგდო. მხოლოდ მერე ეს სიმინდე იპოვა ბატონიშვილმა ლევანმა ნათლულის ჭალაში. ბოლოს დავით მეფემ დაიბრუნა თბილისი. ეს იყო მეჩვიდმეტე განცდა სატახტო ქალაქისა. მეთვრამეტე განსაცდელი მოაყენა მას 1536 წელს შაჰმა თამაზ-ყაენმა, როცა გადასწვა ჩვენი ქალაქი. შემდეგ ლუარსაბ მეფემ (1534-1558 წწ.) დაიბრუნა.

1548 წელს იმავე შაჰ-თამაზმა ხელახლა აიღო თბილისი. ამით მეცხრამეტეჯერ მიაყენა მას ტანჯვა-ვაება.

დაახლოებით 1570 წელს ოსმალთა სარდალმა ლალა-ფაშამ გადასწვა თბილისი. ეს იყო მეოცე განსაცდელი. მხოლოდ 1583 წ. მეფე სვიმონმა გაანთავისუფლა.

1616 წელს შაჰ-აბასმა საშინლად აიკლო დედაქალაქი, დაატყვევა მეფე თეიმურაზ პირველის დედა ქეთევანი მისი ორი შვილიშვილითურთ. ესენი იყვნენ ვაჟები თეიმურაზის ძის დავითისა, რომელსაც მეუღლედ ჰყავდა მეხსი ლეონ დადიანის ასული ელენე დედა მეფე ერეკლე პირველისა. ქეთევან დედოფალი მტარვალმა შაჰმა აწამა. მან წამებაში დალია სული. საქართველოს ეკლესიამ იგი წმინდანად აღიარა. ერთი შვილიშვილი იმავე შაჰ-აბასმა დაასაჭურისა, მეორე კი სულიერად დაასნეულა. მამა ამათი მაშინ ცოცხალი არ იყო. დავით ბატონიშვილი დაიღუპა ერთერთ ბრძოლაში. მაშინ თბილისში იჯდა გამაჰმადიანებული როსტომ მეფე, რომელიც ქართველთა დედაქალაქში 1634 წელს შემოვიდა სპარსთა ჯარით. როსტომ მეფის წინაალმდეგ მოწყობილი იყო დიდი შეთქმულება მეფე თეიმურაზის სასარგებლოდ. შეთქმულნი-დიდებულნი გასცეს. როსტომ მეფემ ისინი სასტიკად დასაჯა. მათ შორის ბიძა ელენე დედოფლისა კათალიკოზი ევდემოს დიასამიძე გუდაში ჩაასმევინა და თბილისის ციხის განჯისკარის კოშკიდან გადააგდებინა. ნეშტი წამებულისა სამღვდელოებამ ფარულად მოასვენა ანჩისხატის ეკლესიაში, რომლის აღმოსავლეთის ნაწილში განისვენებს იგი.

როსტომ მეფე ძალიან მდიდარი იყო. მან დასტოვა ისნის (დღევანდელ ავლაბრის) მხარეზე მდგარი მეელი სასახლე და აგრეთ მტკვრის ნაპირას, ანჩისხატის ტაძრის გვერდით, მდიდრულად მოწყობილი ახალი სასახლე. მისი ცხოვრება აკვირვებდა ევროპელ მოგზაურთ. ფრანგმა მოგზაურმა ცნობილმა შარდენმა როსტომ მეფეს უძღვნა საყურადღებო სტრიქონები თავისი მოგზაურობის ნიჭიერად დაწერილ წიგნში.

შაჰ-აბასის მიერ აკლება იყო ოცდამეერთე წამება ჩვენი დედაქალაქისა.

1723 წელს ოსმალები მოადგნენ თბილისს და აიღეს. ეს იყო ოცდამეორე განსაცდელი.

6 ოქტომბერს, 1735 წელს, თბილისში შემოვიდა ნადირშაჰ სარდალი ალიყულიბეგი. ჩვენმა ქალაქმა ოცდამესამედ განიცადა წუხილი და ვაება.

1748 წელს ერეკლე მეორეს აუტეხა ომი ვახტანგ მეექვსის გამაჰმადიანებულმა ძმისწულმა აბდულაბეგმა. სასტიკ ბრძოლაში ერეკლე მეფემ დაამარცხა კადნიერი სულთნის უარმყოფელი. ამ ბრძოლამ კვალი მარტო ისტორიაში კი არ დასტოვა, არამედ თვით ხალხის გულშიაც. დამცემს გამოუთქვეს ცნობილი ლექსი „პაპუნაი შეკაზმული ჯილითა და ჯინჯილითა“... 1748 წლიდან 1795 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, ბრძენი პატარა კახის მართველობის დროს მშვიდობიანობაში იმყოფებოდა ჩვენი საამაყო დედაქალაქი. ხოლო 1795 წელს აღა-მაჰმად-ხანმა ანახვა თბილისს საშინელი მარცხი. ეს იყო დიდი უბედურება, თავზე დატეხილი ოცდამეოთხეჯერ.

ამგვარად, ბევრი წვალება, რბევა და ნგრევა უნახავს ჩვენს თბილისს. ბევრჯერ ცეცხლს გადაუბუგავს, მაგრამ ყოველთვის ფენიქსებრ განახლებულა. ეს რომისავით მარადიულობის ნიშანია და ჩვენ ნებას გვაძლევს იმედიანად ვჭვრეტდეთ მის მომავალს...

პატარა ფელეტონი

„ალეიქუმ სალამ!.."

ჯუღაშვილის მადა თანდათან იზრდება. იგი ცდილობს თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ყოველგვარი გართულება საერთაშორისო ვითარებაში. უკანასკნელად მან აფრიკაში გააძლიერა თავისი სისხლიანი ხელების ფათური. საოცრად აღწევს ჯუღაშვილის თავხედობა! ჩერჩილი და რუზველტი ძალზე მეტად გართულნი არიან. ისინი ცდილობენ გამოასწორონ თავიანთი „საქმენი საგმირონი" შემოქმის ფრონტზე. მათ არა სცალიათ აფრიკისათვის, დროებით ყურადღების გარეშე აქვთ დატოვებული აბაშეთიც. „ეთიოპიის იმპერატორი მეფეთა მეფე პირველი", რომელსაც წინათ მთელად აბაშეთის ნავთის ერჩდა, უპატრონოდ არის მიტოვებული და რაზაკეთილი, ჯუღაშვილი უკვე შეეცადა „უპატრონოს" მას.

და აი, 1 ივლისს, საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა ელჩმა აბაშეთში, ვ. ს. კიზილოვმა, თავისი რწმუნების სიგელების გადაცემის დროს, „იმპერატორს" მიმართა ვრცელი სიტყვით, რომლის შინაარსიც დაახლოვებით ასე შეიძლება გადმოიცეს:

„დიდებულო იმპერატორო მეფეთა მეფეო პირველო! ჩემმა მბრძანებელმა, დიდმა სოსო პირველმა ყოვლისშემძლემ, დამავალა გადმოგცეთ, რომ საბჭოთა კავშირის მრავალმილიონიანი მოსახლეობა გამსჭვალულია უდიდესი მეგობრობის გრძნობით შენი ეთიოპებისადმი. ჩვენი ხალხი მზად არის ლენინ-სტალინის პარტიის პირველი დანახებისთანავე ხელიდან მოიცილოს ყველა ჯურის იმპერიალისტების წინააღმდეგ. კარგად დაიხსომე, იმპერატორო, თუკი წინარად შენს დანჯღრეულ ტახტზე, დატოვე შენს ქერქში, თორემ იცოდე, მე შემიძლია ავუშვა ჩემი ახოვანი გვარდიები, რომელსაც ზედიდ ბერია-შინსაკომი უწოდება, მიუსიოთ შენს ეთიოპებს და შემდეგ რაც მოხდება, თვითონ მიხვდები"...

დიდიქრდა აქ ჩვენი. გველეშიის გახსენებაზე მას ეკანკალი იპყრობდა. მაგრამ, საქმე ის არის, რომ, მიუხედავად თავისი ეთიოპიური წარმოშობისა, ინგლისში „სტუმრობის" დროს მან მაინც მოასწრო ბევრი რამ შეეძინა თავის მეგობრებთა დიპლომატიური ხასიათიდან. და აი, პასუხად დაახლოვებით ასეთი ხასიათის სიტყვა წარმოთქვა:

„ალეიქუმ სალამ, ბატონო კიზილოვ! გთხოვ გადასცე შენს მბრძანებელს, დიდებულ სოსო პირველს ყოვლისშემძლეს ჩემი ეთიოპიური სალამი. მოახსენე, რომ ჩემი მეგობრები ძალიან შორს არიან. მათ ჩემთვის არ სცალიათ, რადგანაც მთელი დრო თავიანთი საცეცების რეცხვაში ეკარგებათ. ამიტომ მე, იმპერატორი მთელი ეთიოპიისა და ყველა ეთიოპების, ყველაფერზე თანახმა ვარ. ჩემი ხალხის შვილები ჯერჯერობით ჯერ არ არიან დალეწილი, ამიტომ მან შეუძლია ის საქმე ბოლომდე მიიყვანოს. გადაეცი შენს მბრძანებელს აგრეთვე ჩემი თხოვნა, არ გამოუშვას ჩემს წინააღმდეგ ახოვანი გვარდიელები, ბერია-შინსაკომად წოდებული. მე ყოველთვის რუზველტისა და ჩერჩილის დაუძახე. ეხლა ვიცავთ მისი სალამურის ხმაზეც...

გაუმარჯოს ეთიოპების ყველაზე საუკეთესო მეგობარს, თვითონ ეთიოპს, ჩვენს საყვარელ მეგობარს ჯუღაშვილს; გაუმარჯოს ეთიოპიის ინდუსტრიალიზაციას 4 წელიწადში; გაუმარჯოს ეთიოპიის მთლიან კოლექტივიზაციას ყველა ეთიოპის ლიკვიდაციის ბაზაზე; ძირს ინგლის-ამერიკელი გამოცდილი კოლონიზატორები; გაუმარჯოს ეთიოპიის შინსახ... არა, ბოდიში, ეთიოპიის წითელ არმიას".

მოკლედ რომ ვთქვათ, მარიონეტულმა იმპერატორმა და ჯუღაშვილის სრულუფლებიანმა ელჩმა ერთმანეთს იუდას ამბორი მოუძღვნეს, შემდეგში სადღეგრძელოები წარმოსთქვეს. ჯუღაშვილის დავალებით კიზილოვმა „შამპანიც" წამოიწყო და, საკუთარის რედაქციით, რასაკვირველია „მეზავლი მიმდინარეობდა სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში და გულითადი მეგობრობის სულისკვეთებით".

ჩა ვამოვა აქედან, ყველასათვის ცხადია. ჯუღაშვილის „საერთაშორისო" დიპლომატიური ხრიკები, თვითონ ნეგუსის გარდა, ყველას მოატყუებს.

ბიძ. ტ. შ.

ქართველი მოხალისეები თავისუფალ საათებში სცდიან თავიანთ ძალას...

საინტერესო თემაზე

გოლიათი ხეები

მე-18 საუკუნეში, ჩრდილო-ამერიკის დასავლეთ სანაპიროზე აღმოაჩინეს უზარმაზარი ხეები, რომლებიც თავიანთი სიდიდით ბევრად აჭარბებენ ყველა აქამდის ცნობილ დედამიწის ხეებს. ჯერკიდევ 1791-92 წლებში, მალასპინისა და განკუვერის [illegible] ბოტანიკოსებმა კალიფორნიის ნაპირზე მიაქციეს ყურადღება განსაკუთრებული სიდიდის მქონე წიწვიანი ჯიშის დიდ ხეებს, რომლებიც მეტად წააგავდნენ ძოწის გუნდისებურებს. ეხლა ბოტანიკოსები [illegible] ამ ხეს უწოდებენ სექვოია.

წინასტორიულ დროში, განსაკუთრებით მიოცენის ეპოქაში (მესამეული პერიოდის მეოთხე ნახევარი), სექვოიის ჯიშის მრავალი სახე გავრცელებული იყო მთელს დედამიწაზე. ისინი ჩამოტანის ხეების სახელწოდებით არიან ცნობილი. მათგან, ჩვენს დრომდე მოაღწია მხოლოდ ორმა სახემ. ბუნებრივი სახით ეს ხეები ეხლა გვხვდება მხოლოდ კალიფორნიის ზოგიერთ ოლქში, ერთი მათგანი — გიგანტიური სექვოია — იზრდება მხოლოდ სიერა ნევადის დასავლეთ ფერდობებზე. სიმაღლე ამ ხეებისა უდრის დაახლოებით 80 მეტრს, დიამეტრი — 12 მეტრს, ხოლო ხნოვანება — 4.000 წელს აღწევს. მეორე სახე — „სექვოია სემპერვირენს", რომელსაც ჩვეულებრივად შეუდარებით „წითელ ხეს" უწოდებენ, შედარებით ნაკლებ ხანს სძლებს (2.000 წლამდე), მაგრამ უფრო მეტ სიმაღლეს აღწევს. ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც მათი სიმაღლე 120-150 მეტრამდე აღის. ეს ჯიში იზრდება კალიფორნიის ჩრდილო სანაპიროს გაყოლებაზე სან-ფრანცისკოს ჩრდილო და [illegible] 35.000 კვადრატული კილომეტრის ფართობზე.

სექვოია ზომიერ ჰქონის ტყეებს, რაც თავისებურ კავალ ამჩნევს [illegible] ეს ტყეები წარმოადგენენ ერთერთ მთავარ დეკორატიულ ჰავების სამეურნეო ცხოვრებაში. მათ არაერთ შეუქმნიათ [illegible] განსაკუთრებული წარმოება, [illegible] ხერხის სახერხი ქარხნებით, საკუთარი სატრანსპორტო გზებით და სხვ.

სექვოიის მერქანს ახასიათებს დიდი სიმტკიცე და წარმოადგენს ძვირფას სამშენებლო მასალას, რის გამოც უკანასკნელ დრომდე მიმდინარეობდა მისი დიდი მასშტაბით დამზადება, მაგრამ დროის განმავლობაში გაირკვა სექვოიის ტყეების მესამედი. მოსალოდნელი იყო ამ ძვირფასი და მშვენიერი ჯიშის სრულიად მოსპობა, განსაკუთრებული ზომები რომ არ მიეღოთ. ეხლა სექვოიის ტყეების გამოყენება სწარმოებს დიდი სიფრთხილით და იმ ანგარიშით, რომ მოჭრილი მერქნის მარაგი არ აღემატებოდეს წლიურ მომატებას, რომელიც მიიღება ბუნებრივი ზრდით, ამით უზრუნველყოფილი ხდება მომავალი თაობისათვის ბუნების ამ უნიკუმების გადარჩენა, რომელნიც მოწმენი არიან კაცობრიობის 2-3-4 ათასეული წლის ისტორიისა.

ამ გიგანტური ჯიშების გადარჩენისთვის უდიდესი როლი შეასრულა კალიფორნიის განსაკუთრებულმა ბუნებრივი თვისებების მქონე ნიადაგებმა და შედარებით ზომიერმა ჰავამ.

ილ რივერის ოლქში ამჟამად სდგას ყველაზე დიდი ხე, რომელსაც სახელად „დუიერვილის გიგანტი" უწოდეს. მისი დიამეტრი 6 მეტრია, ხოლო სიმაღლე — 119,2 მეტრი. აღნიშნული ხე მიუდგომელი დაახლოებით 600 კუბურ მეტრს უდრის. ეს მერქანი საკმარისია 24 ბინიანი სახლის ასაშენებლად.

„სექვოია სემპერვირენსის" მერქანი შედარებით მსუბუქია, მაგრამ გამოირჩევა დიდი სიმაგრით, ბოჭკოების თანაბრობით და ადვილადაც მუშავდება. მერქანს თეთრი ფერი აქვს, მხოლოდ ცენტრი მუქდებულია ლამაზ წითელ ფერად.

ასეთი გოლიათი ხეების მოჭრა დაკავშირებულია მთელ რიგ სიძნელეებთან და მოითხოვს განსაკუთრებულ ტექნიკურ საშუალებებს. მაგალითად, საჭირო ხდება წინასწარ მომზადდეს ის ადგილი, სადაც უნდა დაეცეს მოჭრილი ხე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გუმბერაზი სხეული დაცემის ძალით ნაფოტებად გადაიქცევა. დამზადებული მორების გამოზიდვა ხდება გაუმჯობესებული ტრანსპორტით (საბაგირო გზები, სატვირთო რკინიგზები და სხვ.).

173 ახალი ცთომილი

უკანასკნელ ხანებში ასტრონომებმა აღმოაჩინეს მრავალი ახალი, აქამდის სრულიად უცნობი ცთომილი. ერთი წლის განმავლობაში, 1940 წლის 1 აგვისტოდან, 1941 წლის 1 ივლისამდე, აღმოჩენილ იქნა 173 მცირე ცთომილი. პირველ ადგილზე ამ დარგში სდგას ფინეთის ობსერვატორია ტურკუში, რომელმაც 74 ცთომილი აღმოაჩინა, შემდეგ მოდიან გერმანიის ობსერვატორიები — 45 ცთომილით, აგრეთვე ბელგიის (13 ცთომილი), საფრანგეთის (9), უნგრეთის (6), სერბიის (6), თურქეთისა (2) და სხვა ქვეყნების ობსერვატორიები.

ურჩეულესი დროიდან სწავლობენ ქვეყნიერების შესწავლა, ახალი ქვეყნებისა და მხარეების აღმოჩენის დროს სწავლულები და მოგზაურები აკვირდებოდნენ მათთვის უცნობ მეცნიერულ ხალხს, ცხოველებს და ბუნებას. მაგრამ მათი განსაკუთრებული ყურადღების საგანს ყოველთვის წარმოადგენდა ცოცხალი სამყაროს მეფე — ადამიანი. თავიდანვე ადვილი შესამჩნევი იყო, რომ სხვადასხვა ქვეყნის ხალხები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან არამარტო ენით, ზნეჩვეულებებით და ხასიათით, არამედ თავისი ფიზიკური აგებულებითა და თვისებებითაც.

კანის სხვადასხვა ფერი, თავისქალის თავისებური აღნაგობა, რომელიც ხალხთა მთელად გარკვეული ჯგუფის თვისებას შეადგენს, ხასიათის თავისებურებანი და მისწრაფებანი, — მუდამ იწვევდა სწავლულთა ცხოველ ინტერესს. ისინი ცდილობდნენ მიეცათ ადამიანთა ზუსტი დაყოფა რასებად.

მიუხედავად იმისა, რომ უძველესი დროიდანვე იყო ცნობილი სხვადასხვა ხალხებისა და ტომების ზუსტი დაყოფის მხრივ ბუნებრივ ჯგუფებად ანუ რასებად, როგორც ეხლა უწოდებენ მათ, შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად მეცნიერული დაყოფა პირველად მოახდინა ლინეიმ, 1740 წელს, თავის გამოჩენილ შრომაში — „ბუნების სისტემები".

ლინეიმ, თავისი ამ შრომით საფუძველი ჩაუყარა თანამედროვე ანთროპოლოგიას, ანუ მეცნიერებას, რომელიც სწავლობს ადამიანს მის ფიზიკურ თავისებურებათა თვალსაზრისით. მან კაცობრიობა გაჰყო ოთხ რასად: თეთრი — ევროპელი, ყვითელი — აზიური, შავი — აფრიკული და წითელი — ამერიკული.

მაგრამ, კაცობრიობის რასების ასეთმა დაყოფამ გამოიწვია დიდი კამათი მეცნიერთა შორის.

ფრიდრიხ რატცელი (1844-1901 წწ.), რომელიც ითვლება თანამედროვე ანთროპოლოგიის მამამთავრად, ფიქრობს, რომ კაცობრიობის რასების კლასიფიკაციის მთავარ ნიშნად მიღებულ უნდა იქნას ადამიანის სხეულის ფიზიკური აღნაგობა,

მსოფლიოს რასების შესახებ

ლინგვისტური და მითოლოგიური საფუძვლებით ტრადიციების ნიშნებს მეორეხარისხოვანი ადგილი უნდა დაეთმოს, ვინაიდან პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის გავლენით შესაძლებელია სხვადასხვა რასის ხალხებს გამოემუშავებინათ მეტად ახლომდგომი ენობრივი და საყოფაცხოვრებო ტიპები. მაგრამ ფიზიკური თვისებები და ნიშნებიც არ შეიძლება იყვნენ აბსოლუტური მნიშვნელობისა, ისინი არ არიან მკვეთრად გამიჯნულნი, ამიტომ თანამედროვე ანთროპოლოგია აწარმოებს მახიმრივ დაკვირვებებს და გაზომვებს, ადგენს საშუალო ციფრებს, როგორც თვითეული რასის განმასხვავებელ ნიშანს.

ზუსტი მეცნიერული კლასიფიკაციით თანამედროვე კაცობრიობა იყოფა 13 რასად: 1. ბუშმენები (ბუშმენები, ჰოტენტოტები). 2. ზანგები (ზანგები, ბანტუ, აკა). 3. მელანეზიელები (პაპუასები). 4. ნეგრიტოსები. 5. ავსტრალიელები. 6. ეთიოპები (ქუშიტები, ქამიტები, ბეჯა, დრავიდები). 7. მელანქროიდები (არიელები, არაბები, ბერბერები, ხამიტები, რეტიოსები). 8. ქსანტოქროიდები (სკანდინავიელები, კარელიელები). 9. ურალის ალტაელები (დასავლეთის ფინები, ლაპარები, უგრები, თათრები და მათი მონათესავე თურქმენული ხალხები). 10. აინოსები. 11. ინდონეზიელები (პოლინეზიელები, მალაელები). 12. მონღოლოიდები (მონღოლები, ტუნგუზები, ესკიმოსები) და 13. ამერიკელები (ჩრდილო-ამერიკის წითელკანიანები, სამხრეთ ამერიკის ინდიელები, პატაგონიელები).

ყოველდღიურ ცხოვრებაში უფრო გავრცელებულია შემდეგი კლასიფიკაცია: 1. ევროპელები ანუ არიელები (რაც სანსკრიტულ ენაზე ნიშნავს კეთილშობილს). ეს რასა ითვლის 1,095 მილიონ ადამიანს ანუ მთელი კაცობრიობის 49 პროცენტს; 2. მონღოლები — 820 მილიონი (37 პროცენტი); 3. ზანგები — 135 მილიონი (6 პროცენტი); 4. ინდოელები — 56 მილიონი (4 პროცენტი); 5. ურალები — 16 მილიონი (0,7 პროცენტი) და 6. დანარჩენი, შედარებით მცირერიცხოვანი რასები — 78 მილიონი (3,3 პროცენტი).

ძველი კლასიფიკაციით, რომელიც მთავარ ყურადღებას აქცევდა ენას, ევროპული რასის ხალხები იყოფოდა სამ ჯგუფად ან ქვერასად: სლავურად, გერმანულად და რომანულად. ამჟამად ევროპელები იყოფიან შემდეგ მთავარ ჯგუფებად: 1. ხმელთაშუაზღვეთის ჯგუფი (ხმელთაშუაზღვის ნაპირების მცხოვრებნი). განმასხვავებელი ნიშნებია: დაბალი ტანი, მოგრძო თავისქალა, წაბლისფერი თვალები, შავი თმა და შედარებით მოშვო კანი. 2. დინარული ჯგუფი (ბალკანეთის ნახევარკუნძულის დასავლეთი ნაწილისა და ალპიისპირეთი ალპების მცხოვრებნი). მაღალი ტანი, სახის მკვეთრი ნაკვთები, შედარებით მომრგვალო თავისქალა. 3. ჩრდილოეთის ჯგუფი (ჩრდილო გერმანიის, სკანდინავიის ნახევარკუნძულის, დანიისა და ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებნი). მოგრძო თავისქალა და სახე, ღია ვარდისფერი კანი, ბაცი თვალები და თმა, მაღალი ტანი. 4. ალპიური ჯგუფი (ცენტრალური ევროპის მცხოვრებნი). დაბალი ტანი, მრგვალი თავისქალა, მოფრიალებ[ული] სიმსუქნისაკენ და 5. აღმოსავლეთის ჯგუფი (ევროპული რუსეთის, პოლონეთისა და ფინეთის მცხოვრებნი), ბაცი თმა, ცისფერი ან რუხი თვალები, საშუალო ტანი და შედარებით მოთეთრო კანი.

კაცობრიობის დაყოფამ რასებად და ანთროპოლოგიისა და ანთროპოლოგიის, როგორც წმინდა მეცნიერული დისციპლინების განვითარებამ, მიგვიყვანა თანამედროვე ანთროპოსოციოლოგიამდე. ეს უკანასკნელი არის მეცნიერება, რომელიც სოციალურ მოვლენებს აკავშირებს ბიოლოგიურ მიზეზებთან, უმთავრესად არსებობისათვის ბრძოლასა და ბუნებრივ შერჩევასთან. ამ მეცნიერების მამამთავრად ითვლება ა. გობინო (მე-19 საუკუნის შუა პერიოდი), რომელმაც თავის შრომებში დიდი ადგილი დაუთმო კაცობრიობის რასების სხვადასხვაობასა და მათ ღირსებებს.

მოხ. ჩ. ბეგთარი.

ნარევი

რას გვეუბნება არითმეტიკა?

თვითეული ჩვენგანი, როგორიც ზანტიც არ უნდა იყოს იგი, თავის სიცოცხლეში აკეთებს ფეხით მანძილს, რომელიც დედამიწის გარშემოწერილობის სიგრძეს რამდენიმეჯერ აღემატება. უხრავი არითმეტიკული გამოანგარიშება ადვილად დაგვარწმუნებს ამაში.

ყოველდღიურად ადამიანი ამუშავებს ფეხზე საშუალოდ 5 საათს. ამ ხნის განმავლობაში იგი დადის ოთახში, ქუჩებში, ეზოში, ე. ი. ასეთივე გადის რაღაც მანძილს. ადამიანი მიდის საათში 4-5 კილომეტრს. დღეში ეს შეადგენს 20-25 კილომეტრს. საკმარისია ეს რიცხვი გავამრავლოთ 360-ზე და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ყოველწლიურად ადამიანი გადის 7.200-დან 9.000 კილომეტრამდე.

ამრიგად, ნაკლებად მოძრავი ადამიანიც კი, რომელიც არასოდეს არ სტოვებს თავის საშობლო ქალაქს, ყოველწლიურად საშუალოდ აკეთებს 8.000 კილომეტრამდე. ვინაიდან დედამიწის გარშემოწერილობის სიგრძე 40.000 კილომეტრს უდრის, ძნელი არ არის ვიანგარიშოთ, რომ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობას ფეხით ჩვენ ვასრულებთ 5 წელიწადში ერთხელ.

მაშასადამე გამოდის, რომ ცამეტი წლის ბავშვმა (თუ ვიგულისხმებთ, რომ მან დაიწყო სიარული 3 წლიდან), უკვე ორჯერ მოიარა დედამიწის ირგვლივ მოგზაურობა. 20 წლის ადამიანს ოთხჯერ აქვს ეს მოგზაურობა შესრულებული, ხოლო 60 წლისას — 10-ჯერ.

როგორც ხედავთ, არითმეტიკა გვეუბნება, რომ 60 წლის ადამიანს ფეხით გავლილი აქვს საშუალოდ 380.000 კილომეტრი, ე. ი. იმდენი მანძილი, რამდენიც არის დედამიწიდან მთვარემდე.

კოცნის ისტორიიდან

სიყვარულის საკითხი დღემანდია კვლევის საგნად იქცა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ კაცობრიობას არცერთ საკითხზე იმდენი არ უფიქრია, რამდენიც სიყვარულის საკითხზე.

სანტერესოა აღინიშნოს, რომ ევროპულ კოცნას შეუფერდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოჩინეთში, აფრიკაში — კუნძულ მადაგასკარზე. ცეცხლის მიწაზე და უკიდურეს ჩრდილოეთში მცხოვრებ ხალხებში გავრცელებული „კოცნა ცხვირით". შეყვარებულნი უხახუნებენ ერთმანეთს ცხვირებს, ანდა ხშირად მისალმების დროს უუნოსავენ თავს, ლოყებს და კეფას... მალაის კუნძულებზე სწამთ, რომ სუნთქვა და ტანის სუნი წარმოადგენს სულის გამოვლინებას და ამიტომ „ცხვირით კოცნის" დროს თითქოს შეყვარებულთა სულები ეხებიან ერთმანეთს.

ჩვენებური კოცნა ევროპაში შემოიტანეს რამდენიმე ხნით ადრე ხალხთა დიდ გადასახლებამდე. იმის შესახებ, რომ ქალიშვილები შექმნილი არიან კოცნისათვის, ლაპარაკობდა ჯერკიდევ ვიკინგების სახელით სიმღერა მე-8 საუკუნეში. საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ კოცნას დაახლოებით 2.000 წლის ისტორია აქვს.

წარსულში, ქალები შედარებით მარტივად უყურებდნენ კოცნას. საშუალო საუკუნეებში დიასახლისი თავის ყველა სტუმარს კოცნით მიესალმებოდა. მე-18 საუკუნეშიც კი კლოპშტოკი თავის მეგობარს შპატიერობდა სახლში „დაინახავს ყოველს ან კოცნაზე".

ბერძენი კოცნიდან ქორწინებამდე დიდი მანძილია. როდესაც საქმრო სასიძოთ დაჰყრობის აღსანიშნავად უცვლიდს იქრომქირილს საქორწინო ბეჭედს, მას სრულიადაც ვერ წარმოუდგენია, რომ ეს წესი შემოიღეს ჯერკიდევ ორი ათასი წლის წინათ ძველმა რომაელებმა. შემდეგ საქორწინო ბეჭედი ხმარებიდან გავიდა და მხოლოდ მეხუთე საუკუნეში კვლავ შემოიღეს. მაშინ, იმ მიზნით, რომ ქმრისა უფრო მეტ ურთიერთობაში მყოფიყო, ცოლები ატარებდნენ მათ ეტარებანით ბეჭედი მარცხენა ხელის უსახელო თითზე, ვინაიდან ამ თითიდან გულისკენ მიემართება „სიყვარულის ნერვი". თითზე ბეჭდის წამოცმით შეხამებულათა მეუღლის ერთის სიყვარულით შებორკვა. ბეჭდის გაკეთება მარცხენა ხელზე დაინიშნის შემდეგ დაიწყეს მე-6 საუკუნეში. ამ დროიდანვე იწყება დაქორწინებულთა მიერ ბეჭდის მარჯვენა ხელზე ტარებაც.

იცით თუ არა თქვენ?

...რომ პირველი ტანკები მსოფლიოში ააშენა გერმანელმა ვილჰელმ ანტონ რიდემანმა ჰეისტემუნდის ნავსაშენში?

ეს იყო ნავთობის ჩასასხმელი ნავი, რომელშიც პირველად ჯავახური ოკეანე და ნავთობით დატვირთული დაბრუნდა ამერიკიდან. იმის გამო, რომ იგი მეტად თავისებურად იყო აგებული, უდიდეს ჰაზეცფერიების იწვევდა. 80-იან წლებში არსებული ჩვეულების მიხედვით, ამ გემს — „გლუკაუფს" წინა ნაწილში ჰქონდა გაკეთებული ანძები აიალქნებისათვის, ხოლო ბოლოში — სამანქანო განყოფილება. ნავთობის საცავები მოთავსებული იყო გემის შიგზე და შუა ნაწილში. ჯერკიდევ იმ დროს ტანკერზე გათვალისწინებული იყო უსაფრთხოების ყველა ზომა, რომელიც იუცილებელია ასეთი ცეცხლსაშიში ტვირთის გადაზიდვის დროს.

თუ განვიხილავთ ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებულ თანამედროვე ტანკერს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ ტიპის გემების შენების წესი მაინცდამაინც არ არის შეცვლილი. პირველი ტანკერის აშენებით ნავების გერმანელმა მშენებლებმა აჩვენეს გერმანელების მშენებლებმა აჩვენეს გზა ასეთი ტიპის გემების მშენებლობის ტექნიკის განვითარებაში.

ქართველ მოხალისეთა ურთიერთდამხმარე ხალხის ფონდის ბანკის რეზერვი ნებაყოფლობითი შემოწირულების სახით გადაზიდული თანხა შემოტანილი უნდა იქნას შემდეგი მისამართით: Postscheckkonto. Berlin 25053 für Dresdner Bank — Konto Nr. 3232.

პასუხისმგებელი რედაქტორი
პაატა ვარძიელი

რედაქციის მისამართი
Georgische Zeitung „Sakarthwele"
Berlin SW 68, Neuenburgerstr. 14.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა